# დროშა

№ 11 ნოემბერი 1952

ეროვნული ბიბლიოთეკა





ზამთრის სასახლის აღება

ნახატი შ. ცხადაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შუქური წითელ მოედანზე

ხუტა ბერულავა

მოსკოვი. მაინც როგორია ეს დალოცვილი!
ვის არ შეხვდები მის მიწაზე და რა ერისშვილს,—
მარსელელ დოკერს, აქ რომ დადის ფერგამოცვლილი,
ჩინელ მუშას თუ ვიეტნამელ მოიერიშეს..

წითელ მოედნის შუაგულში როდესაც დგახარ,
გრძნობ, ღერძის ირგვლივ როგორ ბრუნავს პლანეტა მთელი.
კრემლის ვარსკვლავებს მოედნიდან როდესაც ნახავ,
ისე მაღლდები, ცის ვარსკვლავებს შესწვდები ხელით!

ერთხელ სწორედ აქ გავიცანი მე უცხოელი,
რომ შეჰყურებდა კრემლის კედლებს ამღელვარებით.
მუდამ მართალნი, უტყუარნი, შეუცდომელნი,
რეკდნენ ზარები გათენებას რეკდნენ ზარები

ამ კაცს ბევრი ქვა უმტვრევია ცხოვრების გზაზე,
მაგრამ ნათელი მის თვალებში ვერ ჩაუქრიათ! —
გავიფიქრე და... შემეკითხა უეცრად ასე:
—აი ეს შუქი, ხომ სტალინის სარკმლის შუქია.

აი, ეს შუქი, ზედ აკლდამის ბჭეს რომ ეხება!
...არ დამელოდა და ცერებზე შედგა ბავშვივით,
ამ მოედნიდან თითქოს სურდა რომ შეეხედა
ოთახში, სადაც მსოფლიოს ბედს სწყვეტს ჯუღაშვილი.

იდგა ჭაბუკი ინდოელი, ხელდაკოჟრილი,
და მის მზერაში კიაფობდა ჩუმი გრიგალი
ის იყო არა საპყარი და მონა-მორჩილი,
არამედ წევრი მომავალი დამკვრელ ბრიგადის.

მე მჯერა: იმ დროს, როცა იგი აქ მხარში მედგა
და დაეძებდა სიყვარულით სტალინის სარკმელს,
გემი ,,სტალინი'' მიარღვევდა ზღვის ტალღებს მედგრად,
მიჰქონდა პური მის დამშეულ სამშობლოსაკენ.

მე მჯერა: დღესაც სადმე დელის ქუჩაზე მდგარი
კვლავ კრემლის კედლებს უმზერს იგი ამაყი სახის,
რადგანაც იცის, რომ ,,ავრორის'' გასროლა არის
დღესასწაული ყველა ქვეყნის და ყველა ხალხის!..



პარადი და ქალაქ თბილისის მშრომელთა დემონსტრაცია ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე 1952 წლის 7 ნოემბერს. მთავრობის ტრიბუნაზე (მარჯვნიდან): ამხანაგები ზ. ნ. ჩხუბიანიშვილი, რ. ს. კანდელაკი, ა. ი. მგელაძე, ა. ი. ანტონოვი, ზ. ნ. კეცხოველი, ა. ი. კოჩლავაშვილი, ვ. გ. ცხოვრებაშვილი, ვ. დ. ბუჯიაშვილი, ვ. მ. ბაქრაძე, ი. დ. კოჩლამაზაშვილი, კ. დ. ბუჯიაშვილი, გ. დ. ჯავახიშვილი, ვ. კ. ბალავაძე.

5923

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა,
შეერთდით!

# დროშა

№ 11 (16)

ნოემბერი 1952 წ.

ყოველთვიური
საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და
სალიტერატურო-
სამხატვრო
ჟურნალი

გამომცემლობა „კომუნისტი“



თბილისი. ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე 1952 წლის 7 ნოემბერს.
ფოტოზე —თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი.

ფიზკულტურელები ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე.



მშრომელთა თვითმოქმედი წრეები ლ. პ. ბერიას მოედანზე.



# რუსთავი შენდება



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტონარკვევი ვლ. გინზბურგისა

ეს იყო რვა წლის წინათ. თბილისიდან ოცდაათი კილომეტრის დაშორებით, ტრიალ მინდორს მოეფინენ მშენებლები და პირველი წერაქვი დაჰკრეს რუსთავის ხრიოკ მიწას. ასე დაიწყო ახალი, საბჭოთა ინდუსტრიული ქალაქის ბიოგრაფია. დღეს ასფალტით დაფენილ და ხეხილით დამშვენებულ რუსთავის ქუჩებში პირველ ქართველ მეფოლადეთა სისხლსავსე ცხოვრება დუღს.

საგლინავ საამქროში მუშაობენ დები ორჯონიკიძეები—სალომე, ნანა და სარა. მათ ნიკოპოლში შეისწავლეს საგლინავ დაზგაზე მუშაობა. დაოსტატებული დები აღფრთოვანებულნი გამოეშურნენ რუსთავისაკენ. სამივემ მიიღო მონაწილეობა ამ საამქროს დანადგარების მონტაჟში. ახლა დები ოპერატორებად მუშაობენ. კომკავშირელი სალომე ყველაზე უმცროსია, ის ავტომატზე მუშაობს. მეორე და ნანა—როლინგზე, მესამე კი—გამხვრეტ დაზგაზე. სამილე ნამზადი სამივე დაზგაზე მუშავდება. ყოველი მილის დამზადებაში სამივე დის ხელი ურევია.



რუსთავის მშრომელებმა კარგად იციან, რომ მათ მიერ გამოშვებული ყოველი ტონა ფოლადი ადამიანის კეთილდღეობას, ჩვენი დიდი სამშობლოს მშვიდობიანი ცხოვრების აყვავებასა და წინსვლას ხმარდება.

შენდება და მშვენდება ქართველ მეტალურგთა ქალაქი.

ქალაქის გული სტალინის სახელობის პროსპექტია. ის იწყება ქარხნის სამმართველოს შენობათა ანსამბლთან და მტკვარზე გადებული ხიდით მიემართება იაღლუჯის მთების კალთებისაკენ, სადაც ქალაქის მეორე ნაწილი უნდა გაშენდეს.

რუსთაველთა შრომა — ფოლადისათვის ბრძოლაა. ავტომანქანა, რომელიც ნახშირით დატვირთული მიჰქრის — ბრძოლაა ფოლადისათვის; წყალმიმღებში მომუშავე ოსტატი, რომელიც ტექნიკურ წყალს აწვდის თბოელექტროცენტრალს, ფოლადზე ზრუნავს; შენობათა სართულებზე აგურის აგურზე დაწყობა, ქუჩებსა და მოედნებზე ნერგების დარგვა, გზების მოკირწყვლა — ფოლადისათვის ბრძოლაა! ეს რუსთავის მშრომელთა საერთო საქმე და საერთო სიხარულია, ისინი აწრთობენ მშვიდობის ფოლადს, რომლითაც თავიანთი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის დიად მშენებლობებში.

შეუჩერებლად მიდის დაწმენდილი ფოლადი სამილე ნამზადთა საამქროში. აქ იგი ხელახლა ხურდება და მილებისათვის საჭირო ნამზადი კეთდება. თუ დღემდე რუსთავი ნახევარ ფაბრიკატს უშვებდა, ახლა უკვე მილებს — სრულყოფილ ნაწარმს ამზადებს.

სურათზე: სამილე ნამზადთა საამქრო.





ქარხანა ზრუნავს მოზარდ თაობაზე. სკოლებისათვის, რომლებშიც რუსთავის მშრომელთა შვილები სწავლობენ, ქარხანამ 200 ათასი მანეთის სასკოლო ინვენტარი და ლაბორატორიებისათვის საჭირო ხელსაწყოები შეიძინა. ქალაქში გაიხსნა სასპორტო სკოლა, მუშაობს ბავშვთა ტექნიკური სადგური, პიონერთა სახლი...

რუსთავში უკვე ხუთი საშუალო სკოლაა...

სურათზე. ახალაგებული სკოლა. რუსთავის პატარა მოქალაქეებს გაკვეთილები დაუმთავრდათ. ისინი სახლში მისვლისთანავე ისაუზმებენ, დაისვენებენ და მეცადინეობას შეუდგებიან.



ზესტაფონში დაიბადნენ ომარ, კუკური და ბორის საყვარელიძეები. ისინი იქვე სწავლობდნენ, ფეროშენადნობთა საშუალო სკოლაში. ომარი თვრამეტი წლისაა. ის ელექტრომწით ვაგონებს ტვირთავს და გზავნის მილსაგლინავ საამქროში, სადაც მისი ორი ძმა კუკური და ბორისი მუშაობენ. კუკური მგლინავი ხარატია, ბორისი კი ელექტროზეინკალი. საამქროს ყველა დანადგარს ის უვლის, შეკეთებასაც ის აწარმოებს. ძმებმა ნიკოპოლში ისწავლეს მეფოლადის ხელობა. წელს საამქროში ახალი აგრეგატი — „400" იდგმება. ამ აგრეგატის ათვისება ქარხნის ახალი მიღწევა იქნება. დებს ორჯონიკიძეებს და ძმებს საყვარელიძეებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ამ მიღწევაში.



სამასწლოვანი ცაცხვები და ვერხვები ამშვენებენ რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკს.

მშენებელთა ხელი ჩაერია ტყე-პარკის კეთილმოწყობის საქმეში. უზარმაზარ ხეთა ტოტებქვეშ ხეივანი გასჭრეს. ჩოგბურთი და ფრენბურთი, საცეკვაო და საჭიდაო მოედნები, კინო და სამკითხველო მრავლად იზიდავს რუსთავის ახალგაზრდობას.

მრავალი კეთილმოწყობილი ქუჩაა რუსთავში. ადმინისტრაციულმა და საცხოვრებელმა სახლებმა, კოტეჯებმა და კლუბებმა შექმნეს ეს ქუჩები.

იმ ადგილას გაყვანილ ქუჩას, სადაც მშენებლებმა პირველი წერაქვი დაჰკრეს, მშენებელთა სახელი დაერქვა,—სადაც პირველი მეტალურგები დასახლდნენ, იმ ქუჩას პირველ მეტალურგთა ქუჩა ეწოდა. ყველაზე ლამაზსა და დიდ ქუჩას—ქალაქის ცენტრალურ პროსპექტს რუსთავის მშრომელებმა სტალინის სახელი მიაკუთვნეს.

იზრდება ფოლადის ქალაქი. ქალაქთან ერთად იზრდებიან ახალდარგული კვიპარისები, ნაძვები, ცაცხვები. იზრდებიან აქ დაბადებული ბავშვები.





# ბრიგადირი პროკოფი სვანიძე

**ბ. თათარიშვილი**

ჯერ კიდევ ცაზე ვარსკვლავები არ გამქრალიყო, პროკოფი სვანიძე ეზოში რომ გამოვიდა. ხის ტოტებზე დახვეულ ვენახს მიუახლოვდა, მის დაგრეხილ ძირს ხელით შეეხო, ბარაქიან მტევნებს თვალი გააყოლა. აქა-იქ მოწითალო მარცვლები შეამჩნია—ესიამოვნა.

სოფელში მამლების ყივილი ისმოდა. შავი ზღვიდან დილის გრილი ნიავი ქროდა.

ბრიგადირი ეზოს გასცდა, ჭიშკარი ჩაკეტა, ფართო გზაზე გავიდა.

— ეჰეი, დღეს ნამდვილი შეტევა გვექნება, თუ კიდევ...—სიტყვა ვერ დაამთავრა სვანიძემ, სოფლის თავზე მანქანა შენიშნა.

— დამასწრეს, ნუთუ დავიგვიანე? — გაიფიქრა და მაღლა აიხედა. ცაზე ჯერ კიდევ ვარსკვლავები კიაფობდნენ. გმირის თვალწინ თამბაქოს პლანტაციები გადაიშალა. უცებ გაახსენდა პარტიის საოლქო კომიტეტისათვის მიცემული პირობა—მაქსიმალურად გაედიდებინა თამბაქოს მეორე მოსავალი...

მიდის ბრიგადირი თამბაქოს ნაკვეთისაკენ, მიდის გატაცებული, მისთვის არასოდეს არ დაუსწრიათ.

დღეს?—თვალს არ უჯერის სვანიძე, პლანტაციის შუაგულში, სადაც ფერდობებს მწკრივად განლაგებული თამბაქო ადევნებია, მტრედისფერი მანქანა გამოჩნდა. თითქოს მოფრინავდა იგი გორაკზე შეფენილ მსუბუქ ნისლში, თითქოს მისცურავდა თამბაქოს მწვანე ფოთლების ტალღებში.

— იქნებ მომეჩვენა?—გაიფიქრა სვანიძემ და თვალებზე ხელი მოისვა. არა, სინამდვილე იყო, მანქანა მის წინ გაჩერდა.

— დაბრძანდით!—უთხრა შოფერმა — ისინი ზედა ფართობში არიან. თითქმის ყველა პლანტაცია ნახეს, მოეწონათ. დაბრძანდით, ბრიგადირო, დაბრძანდით!..

პროკოფი სვანიძეს არ ახსოვს, როგორ ჩაჯდა მანქანაში, მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა მანქანიდან ჩამოვიდა, პლანტაციაში შევიდა და თამბაქოს ფოთლებმა წაკაპიწებული მკლავები დაუსველა.

რატომ ღელავს სოციალისტური შრომის გმირი პროკოფი სვანიძე? პირველად ხომ არ არიან ოლქის პარტიული ხელმძღვანელები ამ კოლმეურნეობაში, თათბირიც ბევრჯერ ჩაუტარებიათ, თამბაქო, ციტრუსები, სიმინდის ყანა ფეხით შემოვლილი აქვთ. ვენახი, — ხეივნელთა ეს სიამაყე,—მათი მითითებითაა გაშენებული. თვითონვე შეარჩიეს, კლიმატურ პირობებთან შეფარდებით, ვაზის ჯიშები: ცოლიკაური, რქაწითელი, მალვაზია, ოჯალეში, გუდაუთის ჩინებული. განა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ არ დაადგინა, რომ გაზეთებს ფართოდ გაეშუქებინათ ბრიგადირ პროკოფი სვანიძის მეთოდი თამბაქოს მეორე მოსავლის მისაღებად?

ახლა პირადად ამოწმებენ ამ მეთოდის სიცოცხლისუნარიანობას. ამიტომ ღელავს ბრიგადირი სვანიძე, ამიტომ ღელავს, როგორც მოსწავლე გამოცდებზე. ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა პრაქტიკული საქმიანობით უნდა დაიცვას თავისი სიახლე — მეთოდი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს თამბაქოს მეორე მოსავლის გადიდება.

რაში მდგომარეობს ეს სიახლე?

აფხაზეთის ჰავა და ნიადაგი ყოველმხრივ ხელსაყრელია იმისათვის, რომ მიღებულ იქნას თამბაქოს მეორე მოსავალი. ამის სამი წესი არსებობს. პირველი წესის მიხედვით თამბაქოს ძირითადი მოსავლის აღების შემდეგ, მცენარის ღეროებს გადაჭრიან მიწიდან 10-12 სანტიმეტრის სიმაღლეზე. გადაჭრილ ღეროზე დატოვებენ ორ-სამ კარგად განვითარებულ ამონაყარს, რომელიც კარგი მოვლით კვლავ მთავარ ღეროდ იქცევა და უხვ მოსავალს აძლევს კოლმეურნეობას.

მეორე წესის მიხედვით ამონაყარის ნაცვლად ინარჩუნებენ ორ-სამ კარგად განვითარებულ ნახხარს.

მესამე წესი ეკუთვნის ორგზის სოციალისტური შრომის გმირს პროკოფი სვანიძეს. ამ წესის მიხედვით თამბაქოს ღეროს გადააწვენენ და ნიადაგში ჩაფლავენ. ჩაფლული ღეროს სიმაღლე მიწის ზევით 10–15 სანტიმეტრს უნდა უდრიდეს. ამ სახით გაშენებული თამბაქო უფრო ადრე ვითარდება და უხვ მოსავალსაც იძლევა.

ბრიგადირი სვანიძე დაწვრილებით გვესაუბრა მეორე მოსავლის მისაღებად მის მიერ ჩატარებულ ცდებზე, აგვიხსნა თუ რა უარყოფით გავლენას ახდენს ღეროს გადაჭრა მცენარის ნორმალურ ზრდაზე, როგორ განიცდის მცენარე ამ ოპერაციას და აგვიანებს ყლორტების გამოღებას.

— ამიტომ,—თქვა ბრიგადირმა სვანიძემ,—თამბაქოს ღეროს გადაწვენა ყველაზე ხელსაყრელი მეთოდია. იგი შვიდი-ათი დღით აჩქარებს ფოთლის დამწიფებას. ეს დრო დიდ გავლენას ახდენს თამბაქოს მეორე მოსავლის სიუხვეზე. მის მაღალხარისხიანობაზე. თუ ფოთოლმა ვერ მოასწრო დამწიფება და სიცივემ მოუსწრო, მთელი შრომა უქმად ჩაივლის, მოსავლიანობა დაეცემა, განსაკუთრებით დაბალი იქნება თამბაქოს ფოთლის ხარისხი.

დამაჯერებელი იყო სვანიძის ყოველი სიტყვა. საქმეზე კი... უკანასკნელი ოთხი წლის შრომის შედეგები მოგვითხრობენ. ბრიგადამ, რომელსაც ამხ. პ. სვანიძე ხელმძღვანელობს, მუშაობაში ახალ-ახალი მეთოდების დანერგვის საფუძველზე ზედიზედ მოიწია სარეკორდო მოსავალი. ამიტომ ამშვენებს ბრიგადირის მკერდს ორი ოქროს ვარსკვლავი.

ფაქიზად მოვლილია პროკოფი სვანიძის ახალი სახლი. მისმა კეკლუცად მორთულმა ნათელმა ოთახებმა, მარადმწვანე ხეებითა და ხეხილით დამშვენებულმა პატარა ეზომ, ოდის რიკულზე დახვეულმა ვაზმა, შეუძლებელია არ მიგიზიდოს, არ აგრძნობინოს ბედნიერი და საამური ცხოვრება.

შრომის სიყვარული, ცოდნის სიყვარული, სიახლის გრძნობა, სამშობლოს, ხალხის დიდებისათვის თავდადება — აი რით ცხოვრობს სვანიძის ოჯახი.

ბრიგადირ სვანიძეს არასოდეს არ დაავიწყდება საბჭოთა არმიის მამაცობა დიდ სამამულო ომში. ოდერისა და ვისლის გადალახვა, ბერლინში შესვლა

პროკოფი სვანიძე საკუთარი სისხლით იცავდა სამშობლოს ღირსებას, ამიტომ ამშვენებს მის მკერდს დიდების ორი ორდენი და მედალი «ბერლინის აღებისათვის».

პროკოფი სვანიძის საწერ მაგიდაზე მუდამ ნახავთ გადაშლილ წიგნებს, მცირე ამონაწერებს, კონსპექტებს. მაგიდის ერთი კუთხე დათმობილი აქვს პოპულარულ ლიტერატურას სოფლის მეურნეობის საკითხებზე. თითქოს წიგნებს ეჯიბრება გამოცდილი ბრიგადირი: მაგიდის ზემოთ ლამაზ ხალიჩაზე ჩამოკიდებულია შვიდტაროიანი სიმინდის ღერო, თამბაქოს სანიმუშო ფოთლები, ციტრუსების გაუმჯობესებული ნაყოფი. ყველა ეს კოლმეურნეთა მრავალი წლის დაკვირვებისა და თავდადებული შრომის ნაყოფია. სიახლეს, ნოვატორობას დიდი ხანია საფუძველი ჩაეყარა ხეივნელ კოლმეურნეთა ცხოვრებაში.

**პროკოფი სვანიძე გამოცდილებას უზიარებს კრასნოდარელ კოლმეურნეებს**

ფოტო ს. სანაძისა

## უხუცესი ჭადარი

ეს ჭადარი 800 წლისაა და ახლაც თელავიდან სიამაყით გადაჰყურებს ალაზნის ველს.

ამ ჭადრის ჩრდილქვეშ ბევრჯერ ყოფილან ჩვენი ქვეყნის სასახელო ადამიანები — ილია და აკაკი. აკაკი უკანასკნელად 1911 წელს ყოფილა თელავში. 20 ივლისს მას მონაწილეობა მიუღია ილიას ტრადიციულ საღამოზე. მეორე დღეს კი, ამ ჭადრის ქვეშ აკაკის პატივსაცემად გამართულ ნადიმზე, მხცოვან პოეტს წარმოუთქვამს სიტყვა:

„...ჩვენ მხოლოდ აჩრდილი ვართ იმ გმირებისა, რომელსაც თქვენ მოელით და თქვენ გეკადრებათო".

ჭადარი ნაკრძალად არის გამოცხადებული და მიკრული აქვს მემორიალური დაფა.



# ახალი ჩინეთი



ახალი, თავისუფალი ჩინეთის წარმატებანი აღმოსავლეთის ხალხებს მიაჩნიათ იმის უდიდეს ცოცხალ მაგალითად, თუ რა ჭეშმარიტად დიდი შემოქმედებითი საქმეების კეთება შეუძლია ხალხს, რომელმაც თავისი ბედი საკუთარ ხელში აიღო.

ტერიტორიის მხრივ ჩინეთი მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანაა და სიდიდით მხოლოდ საბჭოთა კავშირს ჩამოუვარდება; მოსახლეობის მიხედვით კი მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს და 200 მილიონით აღემატება მთელი კაპიტალისტური ევროპის სახელმწიფოების მოსახლეობას. ჩინეთი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, მაგრამ რევოლუციამდე ჩინელი ხალხი ღარიბად ცხოვრობდა. მეორე მსოფლიო ომის წინ მემამულეებს, რომლებიც ჩინეთის მოსახლეობის 10 პროცენტს შეადგენდნენ, მიწების 80 პროცენტი ეკუთვნოდათ, ხოლო ჩინეთში კაპიტალურ დაბანდებათა 74 პროცენტს უცხოეთის კაპიტალი ფლობდა.

ჩინეთის სახალხო მთავრობამ მემკვიდრეობით მიიღო ეკონომიურად მეტად ჩამორჩენილი ქვეყანა. ჩინეთის 20 პროვინციაში, 55 მილიონი გლეხიდან, 33 პროცენტი სრულიად უმიწაწყლო იყო. მძიმე მდგომარეობა იყო მრეწველობაშიც.

ჩინეთის კომუნისტური პარტია და სახალხო მთავრობა, ერთიანი დემოკრატიული ფრონტის პროგრამის შესაბამისად, შეუდგნენ ქვეყნის გარდაქმნას. ჩინეთში წარმატებით განხორციელდა მსხვილი ბურჟუაზიის ქარხნების, ფაბრიკების, მაღაროების, ბანკების და ეკონომიურ სიმდიდრეთა კონფისკაცია; სახალხო რესპუბლიკის საკუთრება გახდა რკინიგზები, ფოსტა-ტელეგრაფი, სამდინარო, საზღვაო და საავტომობილო ტრანსპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამჟამად სახელმწიფო სექტორს ეკუთვნის მძიმე მრეწველობის 70 - 80 პროცენტი, მსუბუქი მრეწველობის 40 პროცენტი, რკინიგზა მთლიანად და ნაოსნობის ნახევარზე მეტი.

სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1951 წელს, 1949 წელთან შედარებით, ერთიორად და უფრო მეტად გადიდდა. აღდგენილია რკინიგზის ტრანსპორტი, გაყვანილია რკინიგზის ახალი ხაზები, რომლის საერთო სიგრძე 1.000 კილომეტრს აღემატება. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში რკინის, ფოლადის და მანქანების ყოველწლიური წარმოება გაიზარდა რვა-ცხრაჯერ. დიდი წარმატებებია მოპოვებული ელექტროენერგიის გადიდებისა და ქვანახშირის ამოღების საქმეში. 1952 წელს ქვანახშირის მოპოვება, გასულ წელთან შედარებით, გაიზარდა 61,6 პროცენტით. სწრაფი ტემპით ვითარდება მრეწველობა. აღმოჩენილია ნავთის ახალი საბადოები.

ჩინეთის სახალხო ხელისუფლებამ წარმატებით შესძლო აგრარული რეფორმის გატარება. ამჟამად რაიონებში, რომელთა მოსახლეობა 420 მილიონ კაცს აღემატება, მიწა გლეხებს აქვთ გადაცემული. დიდი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში. მარცვლეული კულტურების წარმოება 1951 წელს, 1949 წელთან შედარებით, შეადგენდა 128 პროცენტს, ბამბისა—252 პროცენტს.

დიდად განვითარდა სახელმწიფო ვაჭრობა და კოოპერაცია. შეიქმნა ქალაქსა და სოფელს შორის ნორმალური საქონელბრუნვის პირობები. აღმოიფხვრა საუკუნეობრივი ინფლაცია, განმტკიცდა ფინანსები.

ეკონომიკის აღდგენამ შესაძლებელი გახადა სა-

სამი წლის წინათ, 1949 წლის 1 ოქტომბერს, ჩინეთი გამოცხადდა სახალხო რესპუბლიკად. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ჩინელი ხალხი, საბჭოთა ადამიანებთან და მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად, ყოველწლიურად აღნიშნავს, როგორც თავის დიდ ეროვნულ დღესასწაულს.

მრავალი წლების გმირული ბრძოლის შემდეგ, 1949 წლის ბოლოს, ძლევამოსილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ჩინეთის სახალხო განმანთავისუფლებელმა არმიამ დაამთავრა გომინდანის კონტრრევოლუციური ჯარების განადგურება, რითაც ჩინელ ხალხს მოუტანა თავისუფლება და ბედნიერება. უცხოელი იმპერიალისტებისა და შინაგანი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ხანგრძლივ, შეუპოვარ ბრძოლებში მოპოვებული გამარჯვების შედეგად, ჩინელმა ხალხმა შექმნა თავისი საკუთარი სახალხო მთავრობა.

ჩინელი ხალხის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ერა — ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფალი, დემოკრატიული განვითარების ერა. ჩინელი ხალხი დაადგა სოციალიზმის მშენებლობის გზას.

ჩინეთის რევოლუციის გამარჯვების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა იყო საბჭოთა არმიის მიერ ჰიტლერული გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურება მეორე მსოფლიო ომში. ჩინელი ხალხისა და მისი კომუნისტური პარტიის სახელოვანი ბელადი მაო ძე-დუნი აღნიშნავს: „საბჭოთა კავშირი რომ არ ყოფილიყო, ანტიფაშისტურ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება რომ არ ყოფილიყო, იაპონიის იმპერიალიზმი რომ არ განადგურებულიყო, — რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის, — ევროპაში ახალი დემოკრატიის ქვეყნები რომ არ გამოჩენილიყვნენ... საერთაშორისო რეაქციული ძალების შემოტევა, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ძლიერი იქნებოდა, ვიდრე ახლა. განა ჩვენ შევძლებდით გამარჯვების მოპოვებას ასეთ გარემოებაში? — რა თქმა უნდა, ვერა“.

ჩინეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვება უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო. ჩინეთში რევოლუციის გამარჯვება და იქ სახალხო რესპუბლიკის შექმნა მარქსიზმ-ლენინიზმის დიდი ცხოველმყოფელი ძალის ნათელი დადასტურებაა. ასრულდა ამხანაგ სტალინის მიერ ჯერ კიდევ 1926 წელს ნათქვამი წინასწარმეტყველური სიტყვები:

„მე ვფიქრობ, რომ მომავალი რევოლუციური ხელისუფლება ჩინეთში თავისი ხასიათით საერთოდ ისეთი ხელისუფლების მსგავსი იქნება, რომელზეც ჩვენში ლაპარაკი იყო 1905 წელს, ე. ი. პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურის მსგავსი რამ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ეს უპირატესად ანტიიმპერიალისტური ხელისუფლება იქნება.

ეს იქნება გარდამავალი ხელისუფლება ჩინეთის არაკაპიტალისტური ან, უფრო ზუსტად, სოციალისტური განვითარებისაკენ“.

ჩინეთის სახალხო რევოლუციის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა კიდევ ისაა, რომ მისი გამარჯვების შედეგად ძირფესვიანად შეიცვალა ძალთა თანაფარდობა საერთაშორისო ასპარეზზე — მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების სასარგებლოდ.

**ფოტოზე: ჩინეთის ერთ-ერთი მეტალურგიული ქარხანა.**

## ჩინური საფოსტო მარკები

**ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გამოშვებულია საფოსტო მარკების რამდენიმე საინტერესო სერია, მიძღვნილი გათავისუფლებული ხალხის ცხოვრების ღირსსახსოვარ მოვლენებისადმი. ბევრი მათგანი — წითელი, მწვანე და ლურჯი ფერის მარკები, მიძღვნილია საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მეგობრობისადმი.**

**მარკა, რომელზეც გამოსახულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დროშა, ხუთი ნომინალით არის გამოშვებული; სამი მარკა, რომლებზეც მშვიდობის მტრედია გამოსახული, დაბეჭდილია მოწითალო-ყავისფრად, მწვანედ და ცისფრად.**









# ერთ ბიბლიოთეკაში



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბევრმა შეიძლება არც კი იცოდეს, რომ თბილისში არსებობს ბიბლიოთეკა, სადაც, გარდა კატალოგისა, არც ერთი წიგნი არ ინახება. ზემოხსენებულ კატალოგში ადამიანის თვალი ვერც ერთი მწერლის გვარს ვერ ამოიკითხავს. ამ ბიბლიოთეკის კარი არა ჰგავს თბილისის სხვა ბიბლიოთეკების კარებს, სადაც ყოველდღიურად, დილიდან საღამომდე, ფეხის ხმა არ სწყდება, სადაც ჩვენი ქვეყნის მოსწავლეები და სტუდენტები, მუშები და კოლმეურნეები წიგნისთვის შედიან, კითხულობენ ჟურნალებს, გაზეთებს, ეწაფებიან ცოდნის წყაროს...

არა, ამ ბიბლიოთეკის რკინის კარი ძალზე იშვიათად იღება.

სანთლით ხელში შედიხართ გრძელ, ჩაბნელებულ ორსართულიან დარბაზში... მარცხნივ და მარჯვნივ, კედლების გასწვრივ ამართულია რკინის მაღალი თაროები, თაროებზე ჰორიზონტალურ მდგომარეობაში დალაგებულია... ბოთლები. დიახ, ბოთლები... სხვადასხვა დროის, სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა ფერის უძველესი, ძველი და ახალი ღვინით, კონიაკით, არყით სავსე ბოთლები.

მართლაც იშვიათი ბიბლიოთეკაა!

მისი სრული სახელწოდებაა: სამტრესტის ღვინის № 1 ქარხნის საკოლექციო ღვინოების ბიბლიოთეკა.

ქარხანა ეკუთვნოდა საუფლისწულო მამულს და აშენებულია 1896 წელს. ამ დროიდანვე არსებობს ეს ფრიად საინტერესო ბიბლიოთეკაც, რომლის პირველადი ექსპონატები, 90-იანი წლებიდან დღემდე, დაცულია წინანდლის, მუკუზანის, ნაფარეულის, თეთრი და წითელი ღვინოების სახით. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საკოლექციო ღვინოების ბიბლიოთეკის ფონდი გაიზარდა: აქ გადმოტანილ იქნა მეფის ნაცვლის კოლექცია — ევროპის თხუთმეტამდე სახელმწიფოს ღვინოები და სხვა მაგარი სასმელების ნიმუშები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შედეგად მევენახეობის არნახულმა განვითარებამ დიდად გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა ის კატალოგი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. ახალი ქართული ვაზის ნაყურის ყველა სახის ნიმუშები ყოველწლიურად ემატება ძველი ღვინოების კოლექციას და თავის ღირსეულ ადგილს იკავებს ამ თაროებზე.

ამჟამად ბიბლიოთეკაში ინახება 1200-დე სახის ასი ათასზე მეტი ბოთლი ღვინო.

უნდა ითქვას, რომ ეს დიდი კოლექცია მხოლოდ ცნობისმოყვარე თვალის დასაკმაყოფილებლად არ შეუქმნიათ.

ამ ბიბლიოთეკაში ფაქიზად შენახულ ღვინოებზე დაკვირვებით, ქართული ღვინის ოსტატები უალრესად პრაქტიკულ საკითხებს სწყვეტენ. აქ ხდება სხვადასხვა მაგარი სასმელებისა და ღვინის თვისებების გამძლეობის შემოწმება, პრაქტიკული დასკვნების გამოტანა, რაც ხელს უწყობს ახალი სახის სასმელების დამზადებას და მასიურად გამოშვებას.

ბიბლიოთეკაში დაცული ყველაზე ძველი ქართული ღვინოები კატალოგში 1831-84 წლებითაა დათარიღებული.

ამ ძველი ქართული ღვინის ნიმუშების გვერდით ბიბლიოთეკაში ნახავთ ახალგაზრდა ქართული ღვინის მრავალფეროვან ნიმუშებს. აქ შეხვდებით საბჭოთა საქართველოს თითქმის ყველა კუთხის, არამცთუ კუთხის, ბევრი უცნობი სოფლის ღვინის ნიმუშსაც კი.

წინანდლის, ყვარლის, კარდანახის განთქმულ ღვინოებს მხარს უმშვენებს ვარციხე, ცოლიკაური, ხვანჭკარა, ოჯალეში და სხვა მრავალი სახელწოდებისა, თვისებისა და ფერის ღვინო... ამჟამად სამტრესტის მარკით გამოშვებული ღვინის სახეობა ოცდახუთია. უმზერ და გაოცებს ფერთა ნაირობა... მწვანე შესჯიბრებია ლია მოყვითალოს, წითელი საფერავი და ვარდისფერი ამაყად დასცქერიან ანკარა, თეთრ ღვინოებს.

ამ ფერთა თამაშს როცა უყურებ, გახსენდება, რომ საქართველოს ბუნებაც ასე მრავალფეროვანი, წარმტაცი და მშვენიერია. ამ ბოთლებში ხომ საქართველოს მიწის წვენია ჩასხმული და ჩაბადაგებული.

ახალი და ძველი ქართული ღვინოების გვერდით დაინახავთ თავისებური მოყვანილობის ფართო ძირიან ბოთლებს, რომლებშიც დღემდის შენახულა ძველი რუსული არაყი და პოლონური თაფლის ღვინოები... აქვეა 1815 წლის თარიღით აღნიშნული ყირიმის მამულების პორტვეინის წესით დაყენებული ღვინოების ნიმუშები.

კოლექციაში თავისი ხნოვანებით გამოირჩევა უნგრული მშრალი ღვინო 1806 წლისა და ნაპოლეონის საკუთარი სარდაფის კონიაკის ნიმუშები 1811 წლის ჩამოსხმისა „ფინშამპანის“ სახელწოდებით.

ცხადია, აქ, ამ თავისებურ ბიბლიოთეკაში, როგორც ხანდაზმული, კარგი წიგნის იშვიათი ეგზემპლარი, ისე ფასდება კარგად შენახული უძველესი ღვინით სავსე ბოთლი. მას დიდი გულმოდგინებით და სიფაქიზით უფრთხილდებიან მეღვინეობის ოსტატები და იმედს იძლევიან, რომ ჩვენი დროის ღვინოები გაცილებით მეტ ხანს გასძლებენ.

სამტრესტის ღვინის № 1 ქარხანა, რომლის ბიბლიოთეკაშიც ჩვენ ახლა ვიმყოფებით, წელს 472, 000 დეკალიტრ სხვადასხვა სახის ღვინოს გამოუშვებს; ამის თავდებია ის, რომ მეორე და მესამე კვარტალში ნაყოფიერ მუშაობისათვის ქარხანამ მიიღო საკავშირო პროფსაბჭოსა და კვების მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი დროშა.

ამჟამად მიმდინარეობს ქარხნის რეკონსტრუქცია. გამოცდის პროცესშია და მალე დაიდგმება ინჟინერ იოსებ ქადეიშვილის მიერ გამოგონებული ბოთლების სარეცხი მანქანა, რომელიც 8 საათის განმავლობაში 20.000 ბოთლს გარეცხავს. მანქანის მართვას დასჭირდება ერთი კაცი. დღესდღეობით კი 12.000 ბოთლის გარეცხვას, ამავე დროის განმავლობაში, 18 კაცი სჭირდება.

* * *

ზევით, შემოდგომის თბილი მზით დამტკბარ ჰაერზე რომ ამოხვალ და დაფიქრდები, კმაყოფილება გიპყრობს.

არც ერთი წიგნი არ გადაგიფურცლავს, არც ერთი წიგნი არ წაგიკითხავს და რამდენი რამ ნახე, რამდენი რამ ისწავლე ამ უცნაურ, უწიგნო ბიბლიოთეკაში.

გ. შატბერაშვილი

---

ხალხო მეურნეობის გეგმაზომიერად განვითარება. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ინიციატივით, ამჟამად, მუშავდება ჩინეთის ეკონომიური და კულტურული განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული კულტურული მშენებლობის ფრონტზე. აგებულია ასობით ახალი დაწყებითი და საშუალო სკოლები, გაიზარდა უმაღლესი სასწავლებლების, მუზეუმების, კლუბების, კინოთეატრების, ბიბლიოთეკების ქსელი. დაწყებითი სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა 1951 წელს, 1949 წელთან შედარებით, გაიზარდა ორჯერ. დიდი მუშაობაა გაჩაღებული წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაციისათვის. წინ მიდის ჯანმრთელობის საქმე. აგებულია ასობით ახალი საავადმყოფო და სამშობიარო სახლი, სამედიცინო დაწესებულებები. დიდი ტირაჟით გამოდის მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის ნაწარმოებები. ჩინელი ხალხი ეუფლება მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავ მოძღვრებას.

თავისი არსებობის სამი წლის მანძილზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ მოპოვებული წარმატებები ერთხელ კიდევ ადასტურებენ იმ სახალხო-დემოკრატიული წყობილების უპირატესობას და ძალას, რომელიც ხალხის უმრავლესობის მტკიცე მხარდაჭერას ემყარება.

ჩინეთის ხალხის წარმატებები აცოფებს მსოფლიო იმპერიალიზმს. ამერიკელი აგრესორები, რომლებმაც ჩინეთში სასტიკი მარცხი განიცადეს, აწყობენ დაუსრულებელ პროვოკაციებს ჩინეთის წინააღმდეგ, ცდილობენ ხელი შეუშალონ ჩინელ ხალხს სახალხო-დემოკრატიული წყობილების განმტკიცების საქმეში. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომლის საერთაშორისო ავტორიტეტი უფრო და უფრო იზრდება და ფართოვდება, არ უშინდება მტრის მუქარას, აძლიერებს სიფხიზლეს, უფრო მჭიდროდ ირაზმება ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და თავისი ნაცადი ბელადის მაო ძე-დუნის გარშემო. ჩინელი ხალხი, საბჭოთა კავშირის ხალხთან ერთად, ყველა თავისუფალ ხალხთან ერთად, განამტკიცებს მშვიდობისა და დემოკრატიის დიდი ბანაკის ძალებს, რომელსაც სათავეში საბჭოთა კავშირი უდგას.

1950 წლის 14 თებერვალს მოსკოვში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირის შორის დაიდო მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ისტორიული ხელშეკრულება, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა ამ ორი ხალხის დიადი მეგობრობა და უდიდესი წვლილი შეიტანა მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და დემოკრატიის განმტკიცების საქმეში. ამხანაგი სტალინი წერდა, რომ „საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დიადი მეგობრობა წარმოადგენს საიმედო გარანტიას ახალი აგრესიის საფრთხის წინააღმდეგ, შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის მძლავრ ბურჯს“.

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მზარდი მეგობრობის ახალი მკაფიო დადასტურება გახდა ამას წინათ მოსკოვში მომხდარი მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის. ამ მოლაპარაკების შედეგად მიღწეული შეთანხმებანი წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს წვლილს საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებასა და განვითარებაში, შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

დიდი ჩინელი ხალხი, თავისი კომუნისტური პარტიისა და მისი შეუდრეკელი ბელადის მაო ძე-დუნის ხელმძღვანელობით, ახალ-ახალ წარმატებებსა და გამარჯვებებს მოიპოვებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების ყველა დარგში, თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრების მშენებლობაში.

გ. ჯინჭველაშვილი



# ჩემი ქუჩა

**გელა გაბუნია** — მოთხრობა — მხატვარი გ. თოიძე

ეს შეიძლება არცაა მოთხრობა... ალბათ მეტი სიყვარულისაგან ველარ შევიკავე თავი და აი — დავწერე ჩემი ქუჩის შესახებ პატარა ამბავი, სადაც არაფერია გასაკვირველი, ანდა არაჩვეულებრივი.

ამიტომ თხრობაც ასე ჩვეულებრივად იწყება:

დილის 8 საათია. ჰაერში სველი მიწის სურნელი დგას, — წვიმამ ახლახან გადაიღო; ოდნავ ირხევა არშიებიანი ფარდა, ბაღიდან სიგრილე მოაქვს ნიავს. ბებიაჩემი სათვალეებს ისწორებს (ცალი მხარე სათვალეებისა ძაფითა აქვს მიმაგრებული ყურზე) და თან მაგიდასთან ფუსფუსებს.

ჩემს წინ, ფანჯრიდან, მოჩანს ორსართულიანი სახლი. ჩვეულებრივი, მოყვითალო ფერის სახლი, სიძველისაგან ნირშეცვლილი. კუთხეში მოგრძო აბრაა გაკრული ლურჯზე თეთრად წერია: რ. როინიშვილის ქუჩა.

მე ჩაის ვსვამ, დროდადრო გარეთაც ვიხედები — მაგიდა ფანჯრის პირდაპირ დგას. მოჩანს, როგორ შრება ასფალტი... მხოლოდ იქ ატალახებულა ოდნავ, სადაც მშენებლობაა ახალი ხუთსართულიანი სახლისა. ლამაზდება ჩემი ქუჩა, გაფართოვდა, გაიზარდა. თუ უწინ ჩიხი ერქვა, ახლა ორ დიდ ქუჩას აერთებს, — ლენინის და გამარჯვების ქუჩას. განსაკუთრებით ის მიხარია, რომ ჩვენი ქუჩა რევაზ როინიშვილის სახელს ატარებს...

ცაზე მძიმედ მოცურავენ პატარა ნაფლეთები ბამბასავით თეთრი ღრუბლებისა, გროვდებიან ჰორიზონტთან... სველ, მოყვითალო ფერის კედელზე გაფოთლილი ხეების ჩრდილი უცნაურ არშიებად წვება და დროდადრო ირხევა. მაგონდება...

იგი საშუალო ტანისა იყო, პირხმელი, შავი, დინჯი თვალები ჰქონდა. აქ, ჩემს პირდაპირ ცხოვრობდა. მაშინ პატარა ვიყავი. ჩვენ ყველას ძალიან გვიყვარდა ის (რეზო — ასე უბრალოდ ვეძახდით ხოლმე). თუ ფეხბურთის თამაშის დროს იფეთქებდა რაიმე გაუგებრობა, აუცილებლად მისთვის უნდა მიგვემართა; თუ ვინმე ჩვენთაგანი გამოცდაზე ხუთს მიიღებდა, სახლში მისვლამდე მას მიახარებდა. იგი ამხანაგურად გვესაუბრებოდა... ვიცოდით, რომ კარგი სპორტსმენი იყო, სტუდენტობისას ფრიადზე სწავლობდა, შემდეგ არქიტექტორად მუშაობდა; ჩვენი ქუჩის რეკონსტრუქციის პროექტი მისი შედგენილია, — ყოველივე ეს ჩვენში დიდი სიყვარულის გრძნობას ბადებდა.

მალე დავშორდით ერთმანეთს — ომი დაიწყო... მერე კი ეს გავიგეთ: ჩვენი ჯარების ერთ-ერთ შენაერთს უნდა გადაელახა მდინარე. ხიდის გადება გაძნელდა, — მტერი განუწყვეტლივ უშენდა ცეცხლს მოპირდაპირე ნაპირს. რევაზ როინიშვილის ოცეულმა ეს ამოცანა პირნათლად შეასრულა უმოკლეს ვადაში. და აი სწორედ მაშინ... მდინარეში წელამდე შესული ლეიტენანტი დაეცა უცებ. დაცემის წინ კიდევ მოასწრო გაეღიმა (ასე მოიწერეს შემდეგ ჯარისკაცებმა).

მას საბჭოთა კავშირის გმირის სახელი მიანიჭეს...

მე ვდგები, საათს ვუყურებ. ქუჩა თანდათან ივსება ხალხით. ახლა უფრო ხშირად ისმის მანქანათა სიგნალის ხმებიც. ისინი წვიმისგან დაწმენდილ ჰაერს მოულოდნელად აპობენ და მერე წყდებიან უცებ. ეტყობა დაცხება, ცა სულ მოიწმინდა...

მე უკვე ქუდს ვეძებ. უცებ ფანჯრიდან ზაქრო ბერიძეს ვამჩნევ. ის ცოტა ზევით, ქუჩის თავში ცხოვრობს. ფართო ნაბიჯებით მოდის. ოდნავ შევერცხლილი თმა აქვს, განიერი მხრები და ძარღვიანი მკლავები.

გუშინ საღამოს რადიოში მისი საამქროს შესახებ ლაპარაკობდნენ, აქეს ბევრი. გარდამავალი დროშა შეუნარჩუნებიათ. შემდეგ თვითონაც გამოვიდა სიტყვით.

ახლა იგი იმ ხუთსართულიან სახლში გადადის საცხოვრებლად. მე მინდა გამოველაპარაკო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ასე ცნობილი კაცია, მეორეც ის, რომ... ვიყურები ფანჯრიდან, ვითომ ახლა შევნიშნე, ხმამაღლა ვეძახი:

— გამარჯობა, ძია ზაქრო!

— გამარჯობა, — ხელს მიქნევს ის.

— რომელ სართულზე გაძლევენ ბინას?

ის ორ თითს მიჩვენებს ღიმილით და ფართო ნაბიჯებით განაგრძობს გზას.

ცხრის ნახევარია თითქმის... მერცხლების ჟივილი ავსებს და ახალისებს ახლადგამოღვიძებულ ქუჩას. ისინი ჰაერს სერავენ, ოქროსფერ სხივებში ბანაობენ; ანდა ძირს ეშვებიან უცებ და წამით ეკვრიან ასფალტის სარკეს...

უმცროს და უფროსკლასელები გუნდ-გუნდად მიდიან სკოლებისაკენ, გამოცდაზე. გოგონები — ქათქათა წინსაფრებით, წიგნებით და ყვავილებით ხელში, შავთვალებიანნი და შავი, მაჯისსიმსხო ნაწნავებით. ვაჟები — ნაცრისფერ ან ლურჯ ფორმაში.

ბოლოს, — როგორ მოხვდა ის პირსაბანის თავზე, ვერ გამიგია, — ვპოულობ ჩემ ქუდს და გავდივარ გარეთ... მეორე მხრიდან აუჩქარებელი ნაბიჯებით მოდის ჩემკენ შავ კოსტუმში გამოწყობილი, მკერდზე ლენინის ორდენის ლენტით, სამოც წელს გადაცილებული გათეთრებული მოხუცი. ნაოჭების ბადით დაფარულ სახეზე მზის სხივივით უთამაშებს საპასუხო ღიმილი, — მშენებლობიდან ესალმებიან ორნი. ერთი — თავშეხვეული.

მოხუცი — ექიმია.. მე მახსენდება: ამ ერთი კვირის წინ მშენებლობაზე ერთმა მუშამ, შემთხვევით დაიშავა თავი. მოხუცმა გულდასმით შეუხვია ჭრილობა. ალბათ ისაა.

ვესალმები.

— ო, გამარჯობა! — მეუბნება მოხუცი. მზის სხივები მას პირდაპირ სახეში სცემს და ამის გამო, საგრძნობლად ჭუტავს თვალებს, — ვერ მცნობს. მიახლოვდება. მერე ხელით მშენებლობისაკენ მიჩვენებს, ახველებს და ასე განაგრძობს: მართლაც, რომ დავბერდი, გელა... აგერ, ხომ ხედავ იმათ? (ის ნელ-ნელა ლაპარაკობს; თითქო ეძნელება ტუჩების ამოძრავება ყველა სიტყვას განსაკუთრებით წარმოსთქვამს) ერთი აზერბაიჯანელია, მეორე — სომეხი. ამ ორმოცი წლის წინ კი, სწორედ აქ, ორ კაცს ჩხუბი მოუვიდა. და მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი მათგანი აზერბაიჯანელი იყო და მეორე — სომეხი...

მოხუცი წამით გაჩუმდა. შემდეგ, თითქო თავისთვისო, ხმადაბლა დაუმატა:

— ახლა კი ერთად აშენებენ აზერბაიჯანელი და სომეხი; აი — როგორ მიდის დრო...

იგი მშორდება. სახლის კედელზე გაკრულ აბრას უყურებს, და ვამჩნევ როგორ იმართება წელში. მე მინდა დავეწიო და რამე ვუთხრა... სანუგეშო. მაგრამ არ შეიძლება, ამით უფრო გავზრდი მის სევდას.

ზურგს უკან, ამ დროს, ჩემი სახელი ისმის.

— გელა! — ეს ჩემი მეზობელი მეექვსეკლასელი მალხაზია. მას სახე ჩუმი სიხარულით უბრწყინავს, მორბის ჩემკენ. — გელა... — არ იცის, როგორ დაიწყოს. ისევ მე გამომყავს უხერხულობიდან: ჩააბარე?

— ხუთი მივიღე. გრამატიკიდან სწორედ ის არ შემხვდა, შენ რომ ამიხსენი. თან ამხანაგებისკენ იყურება, თან ცალი ხელით საქოჩრესთან აშლილ ჯიუტ თმებს ისწორებს. მე ვცდილობ, ჩვეულებისამებრ გავუღიმო. ისე, როგორც ეს რევაზ როინიშვილმა იცოდა. ნახვამდის, მეუბნება მალხაზი.

მე უნივერსიტეტისაკენ მივდივარ. ვხედავ, როგორ გამოდის სახლიდან ძია ზაქროს ქალიშვილი — მარინე. ის წელს ამთავრებს სკოლას, ხუთოსანია...

მე მას ვიცნობ. ჩვენ ვუახლოვდებით ერთმანეთს. ორივეს გვინდა, რომ არ ავღელდეთ. მაგრამ განა შეიძლება? მარინეს მოკლედ შეკრეჭილი წაბლისფერი თმები აქვს და ღია, თაფლისფერი თვალები...

მე ჩაფიქრებული განვაგრძობ გზას. თავჩაღუნული მივაბიჯებ... და ამ დროს კინაღამ ვეჯახები ჩვენს ფოსტალიონს. ის, გაზეთებით და წერილებით დატვირთული, ეშმაკური ღიმილით მარინესკენ მანიშნებს. შემდეგ ქუდს ისწორებს და მიიჩქარის. მე თვალს ვაყოლებ. უცნაური კაცია! ჯერ კიდევ ათი წლის წინ უმტკიცებდა ყველას, რომ ახალ ამბებს თქვენმა ქუჩამ უფრო ფართო გზა უნდა მისცესო. ახლა კი ამას იმეორებს ყოველ წუთს: «ხომ ვყოფილვარ სიტყვის კაციო!» თან გათეთრებულ ულვაშებსაც უსათუოდ გაისწორებს და მერე გირჩევს, რა წაიკითხო პირველად დღევანდელ ნომერში.



აი, რატომ დავწერე ჩემი ქუჩის შესახებ ასეთი მოთხრობა. რასაკვირველია, კიდევ ბევრი რამ შემეძლო დამეწერა... თუნდაც ის, რომ რევაზ როინიშვილი იმ მოხუცის შვილია, ანდა, რომ ასეთი ჩვეულებრივი ქუჩა ძალიან ბევრია ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ამას ალბათ, უჩემოდაც მიხვდებით.




# გონიერი მანქანა

**მ. დავითაშვილი**

ჩაის ბუჩქების სწორ რიგებში კომბაინის მსგავსი მანქანა დინჯად მოძრაობს. ბუჩქების ზედაპირზე ლითონის მოხრილი სავარცხელა მისრიალებს და ჩაის ფოთლებს ყუნწშივე წყვეტს. ეს მომკრეფი აპარატია. მანქანის გვერდით მიბმული დაწნული კალათა, ეს თავისებური ბუნკერი, ნორჩი ყლორტებით წამდაუწუმ ივსება.

— შესანიშნავი, ხარისხოვანი ფოთოლია! — აღტაცებით ამბობს ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი შოთა გოგეშვილი და თითქოს ეალერსება მანქანით მოკრეფილ ნაზ ფოთლებს.

ასეთი მანქანა ქვეყნიერებას ჯერ არ ახსოვს. ადამიანები საუკუნეობით ოცნებობდნენ ჩაის მკრეფავთა მძიმე მუშაობის შემსუბუქებაზე, მაგრამ ამაოდ. უკვე ას წელზე მეტია, რაც ინგლისში ჩაის საკრეფი მანქანის შექმნაზე თავს იტეხენ, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს.

ამ ხუთი წლის წინათ ინგლისური მანქანათმშენებელი ფირმა „ტარპენი“ ფართო რეკლამას უკეთებდა „ჩაისმკრეფავ მანქანას“. როცა ჩვენი კონსტრუქტორები გაეცნენ ამ „მანქანას“, გაეღიმათ: ინგლისელების მანქანა — ეს ხომ უბრალო ასლი იყო ამ ოციოდე წლის წინათ ჩვენი კონსტრუქტორების მიერ გამოგონილი აპარატისა, რომელმაც ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება და არქივს ჩაბარდა.

ინგლისური ფირმის აპარატში ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფის პრინციპის ხსენებაც არ არის: ის განურჩევლად კრეჭს, რაც მოხვდება — ნაზ და უხეშ ფოთოლსაც.

მართლაცდა ასეთი მანქანის შექმნა არც ისე უბრალო საქმეა — ჩაის პლანტაციები პურის ყანებს როდი ჰგავს, სადაც კომბაინი თავისუფლად ცელავს დამწიფებულ მაღალ ღეროებს.

ჩაის მოსავლის აღება ყველა სახის ფოთლის კრეფას არ გულისხმობს. ჩაის ბუჩქის ერთ კვადრატულ მეტრზე 3-4 ათასი ფოთოლია, მოსაკრეფად კი მხოლოდ ერთი მეათედი თუ გამოდგება. ამიტომ ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა ადამიანივით ამორჩევით უნდა კრეფდეს, იგი უნდა გრძნობდეს და ხედავდეს კიდეც.

საბჭოთა კონსტრუქტორებმა ეს ამოცანა ორიგინალურად გადაწყვიტეს. მანქანას თითქოს ადამიანივით თვალები და ხელები აქვსო — „გრძნობს“, „ხედავს“, რომელი ფოთოლი მოწყვიტოს და რომელი დატოვოს.

ეს გონიერი მანქანა ახალგაზრდა მეცნიერმა შალვა კერესელიძემ გამოიგონა. მისი იდეა მისივე ხელმძღვანელობით შესრულდა. კერესელიძეს მხარში უდგნენ კონსტრუქტორები: ვ. მანველიძე, ვ. პოდგორიჩანი, ტ. ქეიშვილი, დ. ნასარიძე, გ. ოგანეზოვი, ა. გულიევი, ა. შიპოვი, ვ. მანდრახლებოვი და სხვები.

მაგრამ სანამ ქარხნები ჩაის საკრეფი მანქანის სერიულ გამოშვებას დაიწყებდნენ, კონსტრუქტორები მას ყოველნაირად ამოწმებენ. უკვე ოთხი თვეა, რაც ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში „გამოცდები“ ყოველდღიურად წარმოებს.

აი, დღესაც ლაითურში მრავალი სპეციალისტი და ჩაის მკრეფავი შეკრებილა. ხალხი მღელვარებით და აღტაცებით შეჰყურებს მსოფლიოში პირველი ჩაის საკრეფი მანქანის მუშაობას.

მეჩაიეები აღტაცებული არიან:

— ნუთუ მალე ასეთი „მეგობრები“ შეგვემატებიან?

— ვცდილობთ, გამოცდა გვიჩვენებს ყველაფერს, — თავმდაბლობენ კონსტრუქტორები და მანქანას ერთი თვალის დახამხამებითაც კი არ სცილდებიან, ისე დასტრიალებენ თავს, როგორც დედა პირმშოს.

კონსტრუქტორები ღელავენ. ეს გასაგებიცაა: შემოწმებამ უნდა გვიჩვენოს, ვარგისია მანქანა თუ არა, შეიძლება თუ არა, მისი სერიულად გამოშვება და ბოლოს — ასრულდება თუ არა ადამიანთა მრავალსაუკუნოვანი ოცნება.

ვინ იცის რამდენი უძილო, მღელვარე ღამეები გაუტარებიათ შალვა კერესელიძესა და მის მეგობრებს, სანამ ამ მშვენიერ მანქანას შექმნიდნენ. ბევრი სიძნელე გაიარეს მათ, მრავალი სიმწარეც იგემეს. მათი შემოქმედებითი ძიება ყოველთვის როდი პოულობდა მხარდაჭერას: ხელმძღვანელ მუშაკებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც არ ესმოდათ, თუ რა გადატრიალებას მოახდენდა ჩაის მეურნეობაში ტექნიკის დანერგვა. ზოგიერთს არც სწამდა ჩაის საკრეფი მანქანის შექმნის შესაძლებლობა, ეს განუხორციელებელ ფანტაზიად მიაჩნდათ; ზოგი ამ მანქანას დაცინვით „მცელავს“ უწოდებდა. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც კონსტრუქტორთა მუშაობას დროს დაკარგვად თვლიდნენ.

მაგრამ შალვა კერესელიძეს, ამ შეუპოვარ მეოცნებე ნოვატორს, ერთი ნაბიჯითაც უკან არ დაუხევია, პირიქით, უფრო მეტი ენერგიით მუშაობდა. კომუნისტ-პატრიოტს ყოველთვის სჯეროდა, რომ გაიმარჯვებდა, გაიმარჯვებდა იმიტომ, რომ მანქანა, რის შექმნაზეც იგი მუშაობდა, ადამიანთა საკეთილდღეოდ იყო გამიზნული.

ჩაის საკრეფი მანქანის გამოგონების აზრი შალვა კერესელიძეს ამ თხუთმეტი წლის წინათ დაებადა. მაშინ იგი ანასეულის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ მუშაკად მუშაობდა. ინსტიტუტში [redacted] ჩავიდა და იქაური თანამშრომლების ყურადღება სუბტროპიკული მეურნეობის მექანიზაციის საკითხს მიაქცია. ერთი წლის შემდეგ [redacted] ინიციატივითვე ქართველ ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა ჯგუფი მოსკოვს გაიგზავნა სასწავლებლად. მათ შორის კერესელიძეც იყო.

ათას ცხრაას ორმოცდაერთი წელი!... შალვა კერესელიძე საბჭოთა ოფიცერია. ასპირანტურაში მეცადინეობა ქვემეხთა გუგუნმა შეცვალა. მაგრამ შალვა ფრონტზეც განაგრძობდა მანქანაზე ფიქრს. ბრძოლებში წამიერი შესვენების დროს უბის წიგნაკს ამოიღებდა, შეყინული ხელებით სიყვარულით გადაშლიდა და ფორმულებსა და ჩანახაზებს დიდხანს ჩაჰკირკიტებდა ხოლმე... ომიდან დაბრუნების შემდეგ შალვამ დროებით შეწყვეტილი მუშაობა განაგრძო...

და აი, ჩვენს წინაშე მრავალი წლის გულმოდგინე შრომის ნაყოფი — მსოფლიოში ჩაის ფოთლის პირველი საკრეფი მანქანაა.

მოხრილი სავარცხელა, რომელიც ფოთოლს კრეფს, სამ წყება რიგისაგან შედგება. ესენი თითების ფუნქციას ასრულებენ. ზემო და ქვემო რიგები — უმოძრაო ლითონის მექანიკური „თითებია“, შუა რიგი კი — რეზინისა — მოძრაობს. მანქანა ისეა მოწყობილი, რომ სავარცხელას „თითებში“ ყველა ფოთოლი ჰყვება, მაგრამ წყდება მხოლოდ სასურველი ფოთოლი. ეს ხდება მოძრავი რეზინის „თითების“ მეოხებით. ისინი ნორჩ ყლორტებს ადვილად წყვეტენ, გადაუხეშებულ ფოთოლს კი — გაცილებით მკვრივს — ვერ ერევიან; როცა ასეთი გადასული ფოთოლი „თითებში“ მოყვება, ისინი ილუნებიან და ფოთოლიც მოუწყვეტელი რჩება...

მაგრამ მექანიკური „თითები“ ფოთლებს მარტო ბუჩქის ზედაპირიდან როდი წყვეტენ. ფოთოლი ბუჩქის სიღრმეშიც ხომ იზრდება. კონსტრუქტორებმა ესეც გაითვალისწინეს. მანქანა თავის „თითებს“ ბუჩქშიც ყოფს და ნორჩი ფოთოლი იქიდანაც ამოაქვს.

ნაზი ფოთოლი მოიკრიფა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერს არ ნიშნავს. ფოთლები ფრთხილად, დაუზიანებლად ბუნკერში უნდა დაგროვდეს. ადამიანი აქ პნევმატიკურმა ტრანსპორტიორმა შეცვალა. იგი ისევე, როგორც მკრეფავი აპარატი, სრულიად ახალი, ჯერ უცნობი კონსტრუქციისაა. მოკრეფილი ფოთოლი ტრანსპორტიორის კედელს „ეწებება“ და ბუნკერამდე მიდის...

საბჭოთა ადამიანების ნოვატორულმა ნიჭმა აიძულა უსიცოცხლო ლითონი სათუთად, თავაზიანად გააკეთოს ყველაფერი ის, რაზეც აქამდე ადამიანის დიდი ენერგია იხარჯებოდა.

კონსტრუქტორებმა ჩვენ გვანახეს მრავალნაირი მექანიკური და რეზინის „თითები“. მათ დასჭირდათ ათეულობით სხვადასხვა სახის „თითების“ დამზადება, რათა მიეღწიათ ისეთი „თითების“ შექმნისათვის, რომლებიც ადამიანის ხელების მაგივრობას გასწევდნენ. ამისათვის კონსტრუქტორებს დასჭირდათ ჩაის ფოთლის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ძირფესვიანად შესწავლა.

ჩაის საკრეფი მანქანა სუფთად, შეუფერხებლად მუშაობს. მაგრამ სამანქანო-საგამომცდელო სადგურის თანამშრომლები კონსტრუქტორებისაგან მაინც მოითხოვენ მანქანის შემდგომ გაუმჯობესებას. და კონსტრუქტორებიც ყოველ, თუნდაც უბრალო კრიტიკულ შენიშვნას ყურადღებით ეპყრობიან.

აი ბუჩქთა რიგში უკანასკნელად გაიარა მანქანამ. შალვა კერესელიძე მღელვარებისაგან თითქოს გახდა კიდეც. იგი მანქანას დასტრიალებს და უბის წიგნაკში ცნობებს იწერს მოკრეფილი ფოთლის რაოდენობისა და მისი ხარისხის შესახებ.

შემოწმების შედეგი შეჯამებულია: გამოცდა ჩაიბარა მანქანამ „სიგონივრეზე“. უკვე საკამათო აღარ არის, რომ მანქანა სავსებით უზრუნველყოფს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფას. მანქანას ორი ადამიანი ემსახურება და ოცდაათ-ორმოც მკრეფავს ცვლის. ამასთან მის მიერ მოკრეფილი ფოთოლი ხარისხით არაფრით ჩამოუვარდება ხელით მოკრეფილ ფოთოლს.

ამხანაგმა აკაკი მგელაძემ თავის სიტყვაში პარტიის XIX ყრილობაზე მაღალი შეფასება მისცა ქართველ კონსტრუქტორებს, რომლებმაც შექმნეს მანქანები სუბტროპიკული მეურნეობისათვის, კერძოდ კი — ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა.

„ჩვენი ქართველი საბჭოთა ტექნიკური ინტელიგენციის სასახელოდ უნდა ითქვას, — აღნიშნა ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ, — რომ მან უკვე შექმნა შესანიშნავი მანქანები — ჩაის საკრეფი, ჩაის სასხლავი და ჩაის პლანტაციების საფუმიგაციო და დასამუშავებელი მანქანები და საჭიროა მხოლოდ მოეწყოს ამ მანქანების წარმოება“.

რას მოგვცემს ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფა?

სპეციალისტებმა გამოითვალეს, რომ სწორ ადგილებში ჩაის ფოთლის მანქანით მოკრეფა წლიურად 3.730.000 კაც-დღის ეკონომიას მოგვცემს. ეს კიდევ არაფერია. კონსტრუქტორთა კოლექტივი, რომელსაც რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელობა ყოველგვარ დახმარებას უწევს, მუშაობს თვითმავალი მანქანის შექმნაზე. ეს მანქანა ჩაის ფოთლის მოკრეფას შეძლებს მთაგორიან ადგილებშიც, სადაც გაშენებულია ჩვენი პლანტაციების მნიშვნელოვანი ფართობები.

ჩვენში ჩვეულებად იქცა: იმ მანქანებს, რომლებიც ადამიანის ხელით შრომას ცვლის, ქვეყანას სიმდიდრესა და მარაგს მატებს, ხალხი კომუნიზმის მანქანებს უწოდებს. ასეთი მანქანები მალე საქართველოს ხავერდოვან ჩაის პლანტაციებზეც აგუგუნდებიან.

**მოკრეფილი ჩაის ფოთლით ივსება ბუნკერი.**





# როდესაც სცენაზე ნამდვილი შემოქმედია

რესპუბლიკის სახალხო არტისტი, საქართველოს სსრ უმაღლეს ხაბჭოს დეპუტატი შალვა ღამბაშიძე იმ ბედნიერ მსახიობთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც ხალხის გულწრფელი და ჭეშმარიტად ღრმა სიყვარული დაიმსახურეს· «როდესაც შენი სახელი და მნიშვნელობა სცილდება შენი ოჯახისა და ნაცნობ-მეგობართა ვიწრო წრეს, ეს იმას ნიშნავს, რომ შენი სახელი უკვე ხალხისაა, ხალხს ეკუთვნის; მაშ მოუარე ამ სახელს ისე, როგორც ხალხის საკუთრებას».—ძალიან ხშირად უყვარს შალვას ამ სიტყვების თქმა კერძო საუბარში. და მთელი მისი საზოგადოებრივი და შემოქმედებითი ცხოვრება-მოღვაწეობაც ამ სიტყვების მკაფიო დადასტურებაა. მაგრამ ამ სახელს შალვა როდი შესცქერის ქედმაღლური სიამაყით, არამედ იმ კეთილშობილ თავმდაბლობითა და სისადავით უყურებს, რაც უაღრესად დამახასიათებელია ნამდვილი შემოქმედისათვის. ვერასოდეს ვერ შეიქმნება კეთილშობილი სცენური ნაწარმოები, თუ მისი შემქმნელი მსახიობი არ არის დაჯილდოებული პირადი კეთილშობილებითო,—გვასწავლის სტანისლავსკი და შალვა ღამჩაშიძე ერთხელ კიდევ გვაჯერებს ამ ჭეშმარიტებაში თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით. საბჭოთა მაყურებლის წინაშე თავისი მოვალეობის სრულმა შეგნებამ, დაუღალავმა და უანგარო შრომამ, კეთილშობილურმა თავმდაბლობამ და მდიდარმა მსახიობურმა მონაცემებმა შეჰქმნა საბჭოთა ხალხის საყვარელი მსახიობი, რომლის შემოქმედების ძირითად ენას წარმოადგენდა და წარმოადგენს რეალიზმი.

—მე კოტე მარჯანიშვილმა გამზარდა, მეც და ჩემი ამხანაგებიც ვალდებულნი ვართ გადავცეთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება იმ ახალგაზრდებს, რომლებიც დღეს თუ ხვალ გვერდში უნდა ამოგვიდგნენ, რომელთაც მომავალში ჩვენი ადგილები უნდა დაიკავონ,— ამბობს შალვა და სიტყვას საქმესაც თან ადევნებს: მას ხშირად დაინახავთ წიგნებით დატვირთულს, თეატრისაკენ მიმავალს; იგი თავისუფალ დროს ესაუბრება ხოლმე ახალგაზრდა მსახიობებს მარჯანიშვილის შესახებ, იგი ხშირად, ძალიან ხშირად უკითხავს ახალგაზრდებს ადგილებს სტანისლავსკის შრომებიდან და განმარტავს მათ საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებების მიხედვით. ამგვარად იგი ცდილობს, დანერგოს ახალგაზრდებში დიდი სიმართლის გრძნობა, ცხოვრების ღრმა დაკვირვებისა და მისი სცენური ასახვის უნარი ყოველგვარი სიყალბისა და ზერელე ეფექტების გარეშე, ვინაიდან, მხოლოდ ამ გზით აღწევდა მარჯანიშვილი დიდ სცენურ ტილოებს, მხოლოდ ამ გზას კარნახობდა და ამტკიცებდა თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით სტანისლავსკი, და ჩვენც დავუმატებთ, რომ მხოლოდ ამ გზით შექმნა შალვა ღამბაშიძემ სცენურ სახეთა ის ბრწყინვალე გალერეა, რომლითაც სამართლიანად ამაყობს მარჯანიშვილის სახელობის თეატრი და საერთოდ საბჭოთა მაყურებელი.

დავასახელოთ შესრულებული როლების თუნდაც ნაწილი, და ჩვენ ნათლად დავინახავთ შალვა ღამბაშიძის არტისტული შესაძლებლობის მრავალფეროვანებასა და სცენურ გარდაქმნის საოცარ უნარს: დე-სილვა [კ. გუცკოვის «ურიელ აკოსტა»], კობა [კ. კალაძის «როგორ»], პროფესორი ბოროდინი [ა. აფინეგენოვის «შიში»], კნუროვი [ა. ოსტროვსკის «უმზითვო»], ოტელო [უ. შექსპირის «ოტელო»], ტარიელ მკლავაძე [შ. დადიანის «ნინოშვილის გურია»], არჩილი [ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა გასცენურება], მეჯღანუაშვილი [ლ. არდაზიანის «მეჯღანუაშვილი»], ინჟინერი სერგეევი [ვ. როკის «ინჟინერი სერგეევი»], გოლეთიანი [ვ. პატარაიას «სანაპიროზე»], კაკუტა [პ. კაკაბაძის «ყვარყვარე თუთაბერი»], მოძღვარი [ა. ყაზბეგის «მოძღვარი»], კუტუზოვი [ა. სამსონიას «ბაგრატიონი»] და ბოლოს, საბჭოთა პრესისა და მაყურებელთა მიერ საყოველთაოდ, მსახიობის დიდ გამარჯვებად აღიარებული გოროდნიჩი [გოგოლის «რევიზორი»].

«რევიზორის» პრემიერაზე შალვა ღამბაშიძის გოროდნიჩით მოხიბლულმა მაყურებელთა ერთმა ჯგუფმა გაიხსენა საინტერესო ფაქტი: 1915 წელს ქუთაისის რეალური სასწავლებლის მოსწავლეებს დაუდგამთ გოგოლის «რევიზორი». გოროდნიჩის როლს მაშინაც იმავე სასწავლებლის მოსწავლე შალვა ღამბაშიძე თამაშობდა. ღამბაშიძის თამაშს მაშინაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მაყურებელზე.

ყველა აქ ჩამოთვლილი როლების შეფასებისათვის არ იკმარებს ერთი და ორი სიტყვა. ეს როლები მოზრდილ რეცენზიების სახით საფუძვლიანად იყო გარჩეული ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, და იმედია, კიდევ ბევრი დაიწერება ამ შესანიშნავი მსახიობის მიერ მომავალში შესრულებულ როლებზე.

— მომავალში რაზე ფიქრობთ მუშაობას? ჩვენი თეატრი დგამს გრიბოედოვის «ვაი ჭკუისაგან», ფამუსოვი მგონი თქვენი ოცნება უნდა იყოს?—ვეკითხები შალვას. შალვა ღიმილით, დინჯად მიპასუხებს:

— თქვენ არ ცდებით, მე დიდი ხანია სურვილი მაქვს ამ როლზე ვიმუშაო, მაგრამ უპირველესი ოცნებაა, შევქმნა ისეთი სახე, რომელიც ასახავს სტალინური ეპოქის კომუნიზმის მშვიდობიან მშენებელთა დიად ცხოვრებას და მოღვაწეობას, მინდა ავსახო ადამიანი იმ ეპოქისა, რომლის დროსაც გაიშალა და გაიზარდა ადამიანთა ნიჭისა და შესაძლებლობის ფართო სარბიელი: მე მინდა ეს როლი ჩემს მიერ შესრულებულ ყველა როლზე მაღლა იდგეს·

და ასეც იქნება ახლო მომავალში.

**ვახტანგ ტაბლიაშვილი**
**ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.**


ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე მოვკალი... ხალხის მტერია.
(„ინჟინერი სერგეევი“)



— აგერ, აგერ, ალექსანდრე რაინდაძე...
(„სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“)



— ურიელ, მე გაგამტყუნე შენ უნებურად.
(„ურიელ აკოსტა“)

— როგორ მოვაწყოთ ახლა ჩვენი ცხოვრება, სად ვიცხოვროთ—აქ თუ პიტერში?
(„რევიზორი“)



# ვალერიან თოფურიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინური პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მოქანდაკე ვალერიან ბაგრატის ძე თოფურიძე ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ფართო არტისტული დიაპაზონი, აზრისა და წარმოსახვის სიღრმე და მრავალფეროვნება.

ვ. თოფურიძემ თავისი ქანდაკებებითა და ნახატებით ჯერ კიდევ ადრე, თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლის დროს მიიპყრო ყურადღება და დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობანი გამოამჟღავნა. მოქანდაკემ პირველად 1928 წელს მიიღო მონაწილეობა სამხატვრო გამოფენებში, ხოლო 1931 წელს თავისი საქანდაკო ნაწარმოებიც წარადგინა გამოფენაზე.

ვ. თოფურიძე უმთავრესად ცნობილია, როგორც მონუმენტურ ნაწარმოებთა ოსტატი. მისი არა ერთი ქანდაკება ამშვენებს ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებს. ეს ქანდაკებები ფართო საზოგადოების ყურადღებას იმსახურებენ.

ვ. თოფურიძის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მხატვრული სახის ოპტიმისტური, რამდენადმე პათეტიური გადმოცემა. ეს მგზნებარება, მაღალი პლასტიკური ტონი თვალსაჩინოდ გამოვლინდა დიდი ბელადის სიყრმის მეგობრისა და თანამებრძოლის ლადო კეცხოველის პორტრეტში, (თბილისი, კომუნარების ბაღი, 1936 წ.) მოქანდაკემ მიზნად დაისახა გადმოეცა რევოლუციური ჰეროიკა: ღრმა და შეუპოვარი აზრი, შეერთებული ვაჟკაცობასთან. თავი შემობრუნებულია მეტყველი მოძრაობით, კისრის კუნთები დაძაბულია, თმებს თითქოს ქარი ეხება; მტკიცე გამოხედვა, მოკუმული ტუჩები, ოდნავ შეკრული წარბები, შუბლის, ღაწვებისა და წვერის ფართო სიბრტყეები — ყველაფერი ეს ქმნის სიმტკიცისა და სულიერი სიმაღლის შთაბეჭდილებას.

ვ. თოფურიძის ნაწარმოებთა შორის მოქანდაკის შემოქმედებითი ძიების მაჩვენებელია შოთა რუსთაველის პორტრეტი, გამოკვეთილი მარმარილოდან (1937 წ.), რომელიც დაიდგა ქ. ახალციხეში. პორტრეტში დიდი ქართველი პოეტის სახე მოცემულია ნატიფი, რბილი პლასტიკური ფორმებით და მოქანდაკის დამოუკიდებელი გზის ძიების პირველ ცდას წარმოადგენს.

1938 წელს ვ. თოფურიძემ შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის კინოთეატრის ფასადისათვის ხელოვნური ქვისაგან შექმნა ოთხი ფიგურა: «კოლმეურნე ქალი», «მუშა», «სპორტსმენი ვაჟი» და «სპორტსმენი ქალი». ეს მონუმენტური სკულპტურული ფიგურები გამოკვეთილია დიდი გრძნობითა და პლასტიკური ალღოთი. ადამიანის სხეულის ანატომიისა და მოძრაობის კანონების ღრმა ცოდნითა და მაღალი ოსტატობით მოქანდაკემ შესძლო ცოცხალი, დამაჯერებელი, რეალისტური სახეების შექმნა.

1939 წელს მოსკოვში დადგმულ იქნა ვ. თოფურიძის მიერ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს სსრ პავილიონისთვის შესრულებული სკულპტურული ჯგუფი «კოლმეურნის ოჯახი». ეს სკულპტურული ჯგუფი მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში მოქანდაკემ პირველად სცადა მოეცა ჩვენი თანამედროვეობის თემაზე ქართული მრავალფიგურიანი კომპოზიცია. ვ. თოფურიძემ აქაც შესძლო შეენარჩუნებია საზეიმო, ოპტიმისტური განწყობილება და ადამიანთა გარეგნობის თვალწარმტაცი, საამო დახასიათება.

ვ. თოფურიძის მრავალ შესანიშნავ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადების — ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მხატვრულ სახეებს. მათში მოცემულია არა მარტო პორტრეტული მსგავსება, არამედ მიღწეულია შინაგანი არსის გახსნაც. ვ. ი. ლენინის ბიუსტი, რომელიც დადგმულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში, გამოკვეთილია მარმარილოსაგან (1937 წ.). მასში ავტორი შეეცადა გადმოეცა პროლეტარული რევოლუციის ბელადის სიდიადე, უდრეკი ძალა და შორსმჭვრეტელობა.

1946 წელს ვ. თოფურიძემ ქვაში გამოკვეთა ი. ბ. სტალინის ფიგურა მონუმენტისათვის, რომელიც ქ. ფოთში დაიდგა, ხოლო 1949 წ. და 1950 წ. დიდი რეალისტური ოსტატობით შექმნა ი. ბ. სტალინის მონუმენტი, ჩამოსხმული ბრინჯაოში. ეს მონუმენტები დგას ქ. სტალინირსა და ქ. ზუგდიდში. ისინი მეტყველნი და დამაჯერებელნი არიან პორტრეტული მსგავსებით და ბელადის სიდიადის გამოხატულებით.

ვ. თოფურიძის მიერ შექმნილ პორტრეტებიდან ყურადღებას იქცევს კინორეჟისორ ნ. შენგელაიას პორტრეტი (1945 წ., ბრინჯაო). ნ. შენგელაიას სახის ყოველი დეტალი დიდი შემოქმედებითი ტაქტით და მხატვრული ზომიერებითაა გამოძერწილი.

მრავალი წლის შემოქმედებითი მუშაობის შედეგად ვ. თოფურიძე, როგორც საპორტრეტო ჟანრის ოსტატი წინ წავიდა და გაიზარდა. ამას ნათლად ადასტურებს ამ უკანასკნელ ხანებში შექმნილი პორტრეტი მისივე მასწავლებლის, მოქანდაკე პროფ. ნ. პ. კანდელაკისა. პორტრეტი ხასიათდება დიდი მხატვრულობით. მისი კომპოზიცია, ფორმების ძერწვა, სახის ნაკვთების შუქჩრდილებითა და მოცულობებით მოდელირება, კანის ფაქტურის რეალური გადმოცემა, მთლიანი სახის რეალისტური აგება, მხატვარ-მოქანდაკის სულიერი სამყაროს უდიდესი სისადავითა და ოსტატობით გადმოცემა ადასტურებს ვ. თოფურიძის მხატვრულ-შემოქმედებით სიმწიფესა და არტისტულ ძალას.

ასევე ღრმა შემოქმედებითი აზრის ამსახველია ვ. თოფურიძის მიერ ჭიათურის თეატრისათვის შექმნილი მონუმენტური ქანდაკებები: აკაკი წერეთლის ფიგურა (1949 წ.) და გრანდიოზული კომპოზიცია „გამარჯვება“ (1950 წ.), რისთვისაც ვ. თოფურიძეს სტალინური პრემია მიენიჭა.

ვ. თოფურიძის მიერ შექმნილი „გამარჯვების“ მონუმენტი, ჩამოსხმული ბრინჯაოში, აგვირგვინებს თეატრის შენობას. მის ფონს ცის სივრცე შეადგენს, რითაც უკვე გარკვეულად შეპირობებულია ქანდაკების კომპოზიცია.

ქანდაკება წარმოადგენს გამარჯვების მახარობელს, რომელიც უდიდეს სასიხარულო ამბავს გვაუწყებს და მომავლის საუკეთესო იმედებისკენ მიილტვის. „გამარჯვება“ ქალის სახითაა წარმოდგენილი. ხელები მაღლაა აწვდილი, ფეხები ენერგიული ნაბიჯის გადადგმის მდგომარეობაშია, ტანსაცმლის ნაკეცები აფრიალებულია, მაგრამ ჰაერის მოძრაობისაგან კი არა, არამედ ძლიერი და სწრაფი რბენისაგან, ფიგურის სწრაფი მოძრაობისაგან.

შინაარსის გახსნის თვალსაზრისით, შესრულების ოსტატობით, კომპოზიციური გადაწყვეტის მიგნებით და შესაფერ მხატვრულ ფორმაში განხორციელებით ვ. თოფურიძეს გაბედულად და დამაჯერებლად აქვს გადმოცემული ამ მაღალმხატვრულ ნაწარმოებში გამარჯვების სიხარული.

ვ. თოფურიძეს მისი შემოქმედება და მხატვრული სიმწიფე მოწინავე საბჭოთა მოქანდაკეების რიგში აყენებს და დიდი შესაძლებლობის მქონე შემოქმედის სახელს უმკვიდრებს.

ვ. თოფურიძე თავის სახელოსნოში. ფოტო ვ. გინზბურგისა





ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთელი



კინორეჟისორი ნ. შენგელაია



მოხუცის თავი



# საქართველოს სსრ მთავრობის სახლი

ირ. ციციშვილი

რუსთაველის პროსპექტზე დამთავრდა ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთი დიდი შენობის — საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მშენებლობა (პროექტის ავტორები: საკავშირო არქიტექტურის აკადემიის ნამდვილი წევრი ვ. კოკორინი და არქიტექტორი გ. ლეჟავა).

როგორც ცნობილია, ამ ნაგებობის პირველი რიგი ჯერ კიდევ 1933-1938 წლებში განხორციელდა, მაგრამ მაშინ აგებულ უკანა კორპუსს აკლდა მთავარი ფასადი და ამიტომ, ბუნებრივია, იგი ვერ ჩაითვლებოდა დასრულებულ ნაწარმოებად.

ახალი, ფასადური კორპუსი თავისი გვერდითი ფრთებით უერთდება ადრე აგებულ კორპუსს, მოხდენილად შემოფარგლავს სწორკუთხოვანი ფორმის დიდ ეზოს და ქმნის ერთ მთლიან ანსამბლს.

შენობა შედგება ორი მკვეთრად გამიჯნული სწორკუთხედისაგან, რომელთაც ფასადის მხრიდან აერთიანებს მძლავრი არკადა. არკადის სამ ცენტრალურ მალში შექმნილია გასასვლელი — თავისებური პროპილეები. პროპილეებში იხსნება ეზოსა და უკანა კორპუსისკენ მიმავალი ფართო კიბეების ხედი — შენობის სივრცითი ღერძი, რომელიც აერთიანებს ტერასებზე განლაგებულ ნაგებობებს.

შადრევნით შემკული პატარა ეზო ანაწილებს მომსვლელთა ნაკადს მდიდრულად დამუშავებულ კარიბჭეთა საშუალებით. მარცხნივ მდებარე სამსახურეობრივი ოთახები დაჯგუფებულია მთავარი ვესტიბიულის ირგვლივ, რომლის არკადები და ლოჯიები აერთებენ შენობის ხუთივე სართულს. მარჯვენა მხარეს გამოიყოფა ჯვარულ-კამაროვანი, გადახურვის ვესტიბიული და მის ზემოთ მოთავსებული უმაღლესი საბჭოს დიდი დარბაზი. დელეგატებისა და სტუმრებისათვის განკუთვნილი ფართო პარტერისა და აივნის ყველა ადგილების გაერთიანება და სიახლოვე, მათი საზეიმო, მაგრამ ამავე დროს ზომიერი მორთულობა ჰქმნიან საკრებულო დარბაზის იდეურსა და მხატვრულ სახეს.

სახალხო ხელისუფლების დემოკრატიზმის ნიშნები ვლინდება კომპოზიციის უბრალოებასა და სიცხადეში, ვესტიბიულებისა და დარბაზების სიდიადეში, მზრუნველობაში მოსამსახურეებსა და მომსვლელებზე. ამასვე ამტკიცებს შენობის შიდა ორგანიზაცია: ნათელი კულუარები, ფართო კიბეები და დერეფნები, მრავალფეროვანი ფაქიზი ნაჭრწით შემკული, კარგი პროპორციების შემცველი სამუშაო ოთახები და სხვ.

საზეიმო ატრიუმი, ლოჯიები და არკადები, ღია შესასვლელები და პატარა ეზოები ცხოველხატული შექჩრდილით შენობას თავისებურ სამხრეთის იერს ანიჭებენ.

შენობის გარეგანი სახე გადაწყვეტილია ასევე სადა, ლაკონურსა და მძლავრ ფორმებში.

რუსთაველის პროსპექტისაკენ. მიმართული მთავარი ფასადი პირველ შეხედვისთანავე გვხიბლავს თავისი მონუმენტური, ცხადი და მკაფიო ფორმებით. დიდი შენობა (სიგრძე 83,76 მ, სიმაღლე 30 მ) მტკიცედ დგას მაღალ, ლეგა ფერის გრანიტით შემოსილ კვარცხლბეკზე. მძლავრი არკადის დახვეწილი ფორმის თაღები ეყრდნობა 16 მეტრიან ოთხკუთხა ბურჯებს, რომლებიც თაღის ქუსლთან ხაზგასმულია კუთხური მრგვალი სვეტების აკანთური სვეტისთავებით. კედლის ზედაპირი თაღებს ზემოთ დაგვირგვინებულია მოჩუქურთმებული ლავგარდნით. ეს უკანასკნელი, ცენტრში, ფრონტონთან, წყდება და ადგილს უთმობს საფეხურისებრივად განლაგებულ ვიწრო სარტყელებს. ფრონტონის ბარელიეფური კომპოზიცია, საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბით ცენტრში, აგვირგვინებს შენობას და გამოხატავს მის დანიშნულებას

გვერდითი ფასადები ჩიტაძისა და ჭიჭინაძის ქუჩების მხარეს, გადაწყვეტილია სიბრტყით. იგი გამოყენებით განაწილებული სარკმლების, ლამაზი აივნების, ვარდულებისა და მოჩუქურთმებული სვეტისთავების წყალობით მეტად პლასტიკური და მიმზიდველია. განსაკუთრებით აღსანიშნავია სარკმლების ზემოთ გაყოლებული თაღები, რომლებიც ანვითარებენ მთავარი ფასადის თემას და ქმნიან შენობის ერთიან რიტმს.

ფასადები შემოსილია სახოვანი ბოლნისის ტუფით. ავტორები შეგნებულად მოერიდნენ სხვადასხვა ფერის ქვებით მოპირკეთებას, რათა შენობის მთლიანობის შთაბეჭდილება არ შესუსტებულიყო. ოქროსფერი ტუფი კი შესანიშნავად ჟღერს და განსაკუთრებით ხელსაყრელია ფასადის ჩრდილოეთის ორიენტაციის პირობებში.

შენობის მხატვრული ზემოქმედების ძალა მდგომარეობს მხატვრული ჩანაფიქრის სიცხადესა და მის მონუმენტურ ფორმებში. ახლებურად გააზრებული, კლასიკური არქიტექტურით შთაგონებული კომპოზიცია, გამდიდრებულია ქართული ხალხური და მონუმენტური ხუროთმოძღვრების ფორმებით. ქართული ხუროთმოძღვრების ხალისიანი ფორმები და მოტივები, მათთვის ჩვეული მსუბუქი პროპორციებითა და სინატიფით, მდიდარი და მოხდენილი ჩუქურთმებით, დიდი მხატვრული ტაქტისა და ზომიერების გრძნობით არის ჩართული კომპოზიციაში.

ყოველი დეტალი ხასიათდება მკვეთრი ნახატით და ბრწყინვალე შესრულებით. სვეტისთავები, ვარდულები და ლავგარდნები ნაირ-ნაირია, ჩუქურთმა იშვიათად თუ მეორდება, მაგრამ ასეთი მრავალფეროვნება როდი ქმნის ნაწარმოებში სტილისტურ უთანხმოებას, პირიქით, იქცევა არქიტექტურული ჩანაფიქრის გარდუვალ ნაწილად.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შესანიშნავი კარიბჭენი, რომლებიც განმანაწილებელ ეზოს ვესტიბიულებთან აკავშირებენ. მარჯვენა მხარეს შესასვლელი შემკობილია ჩუქურთმებით, რომლებიც XI-XIII საუკუნის არქიტექტურული მოტივების გადამუშავების შედეგად არის შექმნილი. მარცხნივ, შესასვლელი მოთავსებულია მთლიანად მოჩუქურთმებული არეს ფონზე, რომლის მსგავსსაც ატენის კანკელის ცნობილ მოტივში ვხვდებით.

თვით სავენტილაციო ხვრელის, თითქოს უმნიშვნელო ბრინჯაოს რიკულებიც კი დიდი მონდომებით არის დამუშავებული ქართული ოქრომჭედლობის საუკეთესო ნიმუშთა მიხედვით.

ამგვარად, შენობის ლაკონურ და მძლავრ ფორმებში. დარბაზების ინტერიერებში. თუ ფაქიზად შესრულებულ მოხდენილ ჩუქურთმებში, ყველგან გვაქვს ხალხური, მხატვრული ტრადიციების ახალ შინაარსთან ორგანულად შერწყმის საყურადღებო მაგალითი.

ბუნებრივია, რომ ხუროთმოძღვრების ასეთ დიდ ნაწარმოებშიც მოიძებნება შედარებით სუსტი დეტალები: მთავარი ფასადი, ჩვენი აზრით, საჭიროებდა კიდეებზე პილონის სახის სიბრტყეებს; გვერდითი ფასადები მაინც ვერაა საკმარისად დაკავშირებული მთავართან; ძლიერ შეზღუდულია ხედი პროპილეების ზემოთ მოთავსებული გადასასვლელით; საჭიროზე მეტად გრაფიკულია ფრონტონის ბარელიეფი და სხვ.

მაგრამ ეს სრულიადაც არ ამცირებს შესანიშნავი ნაწარმოების სიდიადეს.

ავტორთა წარმატება მდგომარეობს პირველყოვლისა იმაში, რომ ისინი დაეუფლენ სოციალისტური რეალიზმის მეთოდს. ეროვნული ხუროთმოძღვრების ფორმების შემოქმედებითი გამოყენების შედეგად შექმნილი ახალი ნაწარმოები, სავსებით უპასუხებს სტალინურ თეზისს სოციალისტური შინაარსისა და ნაციონალური ფორმის მთლიანობის შესახებ.

საქართველოს სსრ მთავრობის სახლის შენობა კიდევ ერთ ახალ ფურცელს გადაშლის ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარებაში. ამ ნაწარმოებში აშკარად ჩანს ახალი მიდგომა მემკვიდრეობისადმი და თანამედროვე შემოქმედებითი ამოცანების სწორი გაგება. ჭარბი მორთულობა, სტილიზაცია და ეროვნული ხუროთმოძღვრების მოტივების მექანიკური გამოყენება, რაც ახასიათებდა ჩვენი ხუროთმოძღვრების ზოგიერთ ნაწარმოებს, ამჟამად ადგილს უთმობს სადა, თავშეკავებულ და მონუმენტურ, ჭეშმარიტად კლასიკურ ფორმებს.


ეროვნული ბიბლიოთეკა



ვ. თოფურიძე — ვანო სარაჯიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თელავი სახეს იცვლის



თავისუფლების მოედანზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქალაქში შესვლისთანავე

მატარებელი თელავის სადგურში შევიდა. აქამდე დადუმებული სადგურის ბაქანი ახმაურდა, აფორიაქდა მგზავრების ჟრიამულით. მგზავრები ეშურებოდნენ სადგურის უკან მოასფალტებულ მოედნისაკენ, სადაც მათ ავტობუსები და ტაქსები ელოდებოდნენ. ქალაქი თელავი ხომ რამდენიმე კილომეტრით არის დაშორებული სადგურიდან. მთელი გზა ასფალტირებულია. სწორედ ამ გზის მაგალითით მიხვდება კაცი, რომ თელავი საგრძნობლად იცვლის სახეს. იგი სოციალისტური მშენებლობის ცხოველმყოფელ ზეგავლენას განიცდის.

ამაში მატარებლიდან ჩამოსვლისთანავე დარწმუნდებით. იქვე, სადგურთან ახლოს შენდება საზუეს ფიქალის გადამმუშავებელი ქარხანა, რომლის პროდუქცია ფართოდ იქნება გამოყენებული მშენებლობებზე. ქარხანა მალე ამუშავდება.

შემოდგომის მიწურულია. ბუნებას თავისი ფერადი სამოსელი გამოუფენია ადამიანის სასიამოვნოდ და თვალის გასახარებლად. უყურებ ამ ლამაზ სანახაობას და გული სიამაყით გევსება.

ავტობუსი მიჰქრის. გზის მარცხენა მხარეს ვხედავთ რამდენიმე ახალ შენობას. ეს ფიქალის გადამმუშავებელი ქარხნის მუშათა საცხოვრებელი სახლებია. მოასფალტებულ გზას პირდაპირ თელავის ცენტრში შევყავართ. თავისუფლების მოედანი, მახარაძის ფართო ქუჩა თავისი ახალი სახლებითა და ხარაჩოებში ჩასმული მშენებლობებით... 1942 წლის შემდეგ არ ვყოფილვარ თელავში. ამ ათიოდე წლის განმავლობაში როგორ შეცვლილა, როგორ წინ წასულა დიდი წარსულის მქონე ეს პატარა ქალაქი.

ასეთ პატარა ქალაქებსა თუ დაბებს ძველად პროვინციას უწოდებდნენ ხოლმე. ეს სახელწოდება დამამცირებელიც იყო და ნაწილობრივ გამოხატავდა ცენტრსა და პერიფერიებში გაფანტულ ქალაქებს შორის არსებულ განსხვავებას. უგემოვნოდ მიყრილი სახლები, ვიწრო ქუჩები, კულტურის დაბალი დონე, ტლანქი და ზანტი ცხოვრება დამახასიათებელი იყო ამ «პროვინციებისათვის». მაშინ იქ, ცენტრიდან ჩასულ ადამიანს უცებ შეამჩნევდით ჩაცმულობით, გარეგნობით, ქცევითა თუ სიტყვა-პასუხით.

ეს ძველად იყო.

თელავი ახლა მზარდი სოციალისტური ქალაქია, იგი ცენტრია ჩვენი ქვეყნის მეტად ბარაქიანი და მსუყე რაიონისა.

## ცოტა რამ ისტორიიდან

განახლებული თელავის ცენტრში აღმართულია ერეკლე II-ის სასახლე. აქ დაბადებულა და სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაუტარებია ქართველი ხალხის გამოჩენილ მხედართმთავარს. ამ შენობაშია მოთავსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. იგი 25 წელია, რაც არსებობს. დღითი დღე ივსებოდა და საინტერესო ხდებოდა ეს კულტურული დაწესებულება. მუზეუმში ექსპონირებულია მრავალი ისტორიული ნივთი, სურათი, რომლებიც ნათელს ფენენ ქართლ-კახეთის სამეფოს ყოფა-ცხოვრებას, მისი გმირული ბრძოლების ისტორიას. მეტად საინტერესო ცნობაა ერთ-ერთ კედელზე. ეს თელავის ბიოგრაფიას შეეხება.

თელავს რომ დიდი ხნის ისტორია აქვს, ამას მოწმობენ გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთები და სამარხები. «II საუკუნის ცნობილი მოგზაური სტრაბონი მას თელებას უწოდებს. IV-VII საუკუნეებში არსებობდა რუკა, სავაჭრო გზებისა და სავაჭრო ადგილების აღნიშვნით. იგი შედგენილია მეოთხე საუკუნეში და ინახება ვენის საჯარო ბიბლიოთეკაში. ამ რუკაზე არის აღნიშნული კახეთის ერთი სავაჭრო პუნქტი, რომელსაც თელედა ეწოდება». იგი სტრაბონის «თელება» უნდა იყოსო, აღნიშნულია ცნობაში.

მას შემდეგ მრავალჯერ დაინგრა და აშენდა თელავი. იგი, როგორც ზღაპრული ფენიქსი, ნაცრიდან და ნანგრევებიდან ზევრჯერ ამდგარა და აღორძინებულა. დიდი წარსული აქვს ამ ქალაქს. მაგრამ უფრო დიდი— აწმყო და მომავალი. ამას ადასტურებს მუზეუმის სპეციალური ექსპონატები, რომლებიც ჩვენ სოციალისტურ სინამდვილეს ასახავენ. აქ თქვენ ნახავთ, როგორც ქ. თელავის, ისე მისი რაიონის ზრდისა და განვითარების დამაჯერებელ ექსპონატებს, მოწინავე ადამიანების პორტრეტებს, იმ ადამიანებისა, რომლებიც ხელს უწყობენ ამ ზრდასა და განვითარებას, მიჰყავთ თავისი მხარე ახალ მწვერვალებისაკენ.

## გუშინდელი უკვე მოძველებულია

მუზეუმს ბევრი მასალა აქვს ძაფსალეზი ფაბრიკის მუშაობის შესახებ. აქ თავმოყრილია ფაბრიკის მიერ გამომუშავებული აბრეშუმის ძაფის შულოები, დიაგრამები, მოწინავე ადამიანთა პორტრეტები. ეს მასალები უკვე დაძველებულია. ფაბრიკა წელს ამ მაჩვენებლებიდან ძალზე შორს წასულა. მიმდინარე წელს, მარტო მესამე კვარტალში ფაბრიკამ გამოუშვა 20.550 კგ ხამი აბრეშუმის ძაფი და გეგმა 101,7% შეასრულა. მის მიერ ამ კვარტალში გამოშვებული პროდუქციის ღირებულება რამდენიმე მილიონს აღწევს. გამოშვებული პროდუქციის 25% პირველი ხარისხისაა, 50%—მეორე ხარისხისა. ფაბრიკის მთელი კოლექტივი იბრძვის კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლებისათვის.

ფაბრიკაში ფართოდ ინერგება ცნობილი ნოვატორის ციალა ღლონტის მეთოდი. ძაფის ამოღებაზე უკვე ორივე ხელით მუშაობენ. მრავალი მუშა ორ და სამ დაზგაზე მუშაობს.

ციალა ღლონტი ფაბრიკაში დაგვხვდა. იგი უხსნიდა მუშებს თავისი მეთოდის «საიდუმლოებას», ასწავლიდა დაზგაზე მომუშავეებს ძაფის ამოღების პროცესებს. თვითონ გამაღლებული მუშაობდა 5 დაზგაზე. აბრეშუმის ძაფუნები და დაზგის ნაწილები ისე ემორჩილებოდნენ ოსტატის ხელის მოძრაობას, გეგონებოდათ, გრძნობენ ამ ადამიანის ფიქრსა და მისწრაფებებსო. ფაბრიკამ 8 თვეში 3.800 ათასი მანეთი მოგება მიიღო. აქედან ზეგეგმითი მოგება 880 ათასს უდრის, სადირექტორო ფონდი 200 ათასს მანეთამდე აღწევს. ეს თანხა მთლიანად ხმარდება ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას.

თავისუფლების მოედანზე ფაბრიკამ ააგო საცხოვრებელი სახლი. იგი ამშვენებს მთელს მოედანს, სიამაყეა მთელი ქალაქისა. აქ მალე ჩასახლდებიან ძაფსალეზი ფაბრიკის მოწინავე ადამიანები.

ფაბრიკასთან 1929 წლიდან არსებობს საბავშვო ბაგა. რამდენი ასეული ბავშვი გამოუზრდია ამ ბაგას ამ ხნის განმავლობაში. ჩვენი აქ ყოფნის დროს შემოვიდა ძაფის მხვეველი, მრავალდაზგოსანი მარო ყარაულაშვილი. შესვენება ჰქონდა და თავის ბავშვს მოაკითხა. თვითონაც ამ ბაგაში ყოფილა აღზრდილი. შემდეგ საბავშვო სახლში გაუტარებია ბავშვობის წლები. ახლა კი ძაფსალეზი ფაბრიკის მოწინავე მუშაა.



ძაფსალეზი ფაბრიკის მოწინავე სტახანოველი ეთერი მარკოზაშვილი

## აბრეშუმის მაღალი ხარისხისათვის

მეაბრეშუმეობას ჩვენში დიდი ხნის ისტორია აქვს. როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს სოფლებში თავიდანვე შეხვდებოდით დაწნულ ჩელტებზე მოფუსფუსე აბრეშუმის ჭიებს. პარკის მთელ მოსავალს ჩალის ფასად ყიდულობდნენ ჩარჩი ვაჭრები. სამაგიეროდ რა ძვირი ღირდა აბრეშუმის თესლი, რა ძნელი საშოვნელი იყო იგი! ვინ ამოწმებდა მის ხარისხს, ვინ ზრუნავდა მის გაუმჯობესებაზე?..

ახლა რესპუბლიკაში რამდენიმე საგრენაჟო ქარხანა არსებობს. ერთი ასეთი ქარხანა თელავშიაც მუშაობს. ლამაზ შენობაშია იგი მოთავსებული. გორაკზეა წამოჭიმული და გადასცქერის ალაზნის ველს. ამ ქარხანაში ზუსტად ამოწმებენ აბრეშუმის პეპლის ჯანსაღობას, მისი თესლის ხარისხს. ქარხანა იღებს I ხარისხის პარკს. აქ თვითეული პეპელა მოწმდება და ასე შემოწმებული ჯანსაღი თესლი ურიგდებათ კოლმეურნეებს.

## ქართული ვაზის ლაბორატორიაში

მეტად საინტერესო საქმიანობას ეწევა თელავის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტი. რთულ და მრავალნაირ სამეცნიერო კვლევითი სამუშაოსთან ერთად იგი პრაქტიკულად ეხმარება ქართველ მევენახეებს ყურძნის მოსავლის გადიდების საქმეში, ახალი ჯიშის ვაზის გამოყვანაში და მის დანერგვაში, სწავლობს მოწინავე მევენახეების გამოცდილებას და ამ გამოცდილებას ფართოდ აცნობს დანარჩენ მევენახეებს. ინსტიტუტში სისტემატურად მოდიან არა მარტო თელავის რაიონის, არამედ კახეთის ყველა რაიონების კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, მერგოლეურები და ცალკეული მევენახეები — რჩევა-დარიგებისათვის, ახალი მიღწევების გასაცნობად. ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკები დაუზარებლად ეხმარებიან მევენახეებს. ფართოდ აცნობენ საცდელ ნაკვეთებზე წარმოებულ მუშაობას, ლაბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეცნიერი მუშაკი ნ. ყაზახაშვილი აცნობს ექსკურსანტებს ქართველი ხალხის ისტორიული ბრძოლების ამსახველ ექსპონატებს.

რატორიებში მიღებულ შედეგებს, საცდელ ნაკვეთებიდან მოწეულ მოსავლის ღვინოების ხარისხიანობას.

ინსტიტუტს საცდელ სამუშაოებისათვის აქვს 23 ჰექტარი ვენახი, სადაც თავმოყრილია ვაზის უმდიდრესი კოლექცია—1000 სხვადასხვა ჯიშის ვაზი. აქედან 450 ჯიში ქართულია, დანარჩენი მოძმე რესპუბლიკებისა და უცხოური.

ამ ნაკვეთებზე გამოჰყავთ ვაზის ახალი ჯიშები, რომლებიც შემდეგ დაინერგება საკოლმეურნეო ფართობებზე.

ინსტიტუტი საკავშირო მნიშვნელობის დაწესებულებაა. მის ცდებსა და გამოცდილებებს ფართოდ იყენებენ, როგორც მოძმე რესპუბლიკის ისე დემოკრატიული რესპუბლიკის მევენახეები.

## ბეჯითად სწავლობს თელაველი ახალგაზრდა

თვალსაჩინო მიღწევები აქვს თელავს სწავლა-განათლების საქმეში. ქალაქში ამჟამად მუშაობს 6 სრული საშუალო, 1 რვაწლიანი და 1 მუშა-ახალგაზრდობის სალამოს სკოლა. საერთო განათლებასთან ერთად, მუსიკალურ განათლებასაც იღებენ თელაველი ბავშვები. აქ უკვე კარგა ხანია არსებობს მუსიკალური შვიდწლედი. 150 ბავშვი სწავლობს ამ სკოლაში ვიოლინოზე და ფორტეპიანოზე დაკვრას. ქალაქელ ბავშვებთან ერთად სწავლობენ მახლობელი სოფლების კოლმეურნეთა ბავშვებიც. სწავლობენ ბეთჰოვენის, ლისტის, ჩაიკოვსკის, რახმანინოვისა და სხვა კლასიკოს კომპოზიტორთა და თანამედროვე საბჭოთა მუსიკოსების ნაწარმოებებს. ამ სკოლის აღზრდილებს ნახავთ თბილისის მუსიკალურ სასწავლებლებში.

თელავის კულტურულ წინსვლას დიდად უწყობს ხელს იაკობ გოგებაშვილის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი. თელავში არსებული მასწავლებელთა ორწლიანი ინსტიტუტი, რომელიც 1922 წელს დაარსდა, 1951 წელს 4 წლიან პედაგოგიურ ინსტიტუტად გადაკეთდა. ახლა აქ 346 სტუდენტი სწავლობს. ინსტიტუტში ამზადებენ ისტორიის, ენისა და ლიტერატურის, ფიზიკისა და მათემატიკის საგნების მასწავლებლებს.

სტუდენტთა 80% კოლმეურნე ახალგაზრდობაა. ესენი ძირითადში შეავსებენ კახეთის რაიონების სკოლების მასწავლებელთა კადრებს.

## აფიშები მეტყველებენ

ქალაქის ქუჩებში გამოფენილ აფიშებზე თქვენ წაიკითხავთ, რომ სახელმწიფო თეატრში მიდის «ვერაგობა და სიყვარული», «ჩაძირული ქვები»... კინო თეატრში უჩვენებენ «მუსორგსკის», საქალაქო ბიბლიოთეკაში ტარდება მოხსენება თემაზე «საკოლმეურნეო სოფელი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში», პარტკაბინეტში მოწვეულია აგიტატორების თათბირი, სტადიონზე კვირას ტარდება ამხანაგური შეჯიბრი ფეხბურთში. ამ აფიშებს შორის იყო კულტურის სახლის აფიშაც, რომელიც მოუწოდებდა მსურველებს ჩაწერილიყვნენ თვითმოქმედ წრეებში. კულტურის სახლთან მრავალი წრე არის ჩამოყალიბებული. ამ წრეებში ორასამდე მშრომელია გაერთიანებული. ყოველი წრე საინტერესო მუშაობას ატარებს, მაგრამ მათ შორის გამოირჩევიან სახვითი ხელოვნებისა და ჭრაკერვის წრეები. სახვითი ხელოვნების წრის ოთახი სავსეა მოლბერტებით, რომლებზედაც დამაგრებულია ფერწერული ტილოები. აქ არის ნატურმორტები, ეტიუდები, სიუჟეტიანი სურათები თანამედროვე თემებზე. თვითმოქმედ მხატვრების გარდა, ამ წრეში გაერთიანებული არიან მოქანდაკეებიც. წრის წევრები გადიან სოფლებში, მოედნებზე და უშუალოდ ნატურიდან ხატავენ ჩვენი ცხოვრებისა თუ ბუნების სურათებს. ერთი წელია, რაც ეს წრე არსებობს და ამ მოკლე ხნის განმავლობაში საოცრად დიდი სამუშაო ჩაუტარებიათ. საგრძნობლად წინ წასულან წრის წევრები.

ჭრა-კერვისა და ქარგვის შესწავლის სურვილი იმდენად დიდია, რომ სამი წრე ძლივს იტევს მსურველებს. ამ წრეებში გაერთიანებული არიან როგორც თელაველები, ისე კოლმეურნე ქალები მახლობელი სოფლებიდან—რუისპირიდან, იყალთოდან, ნაფარეულიდან, კონდოლიდან და ახლო რაიონებიდანაც. სწავლობენ ჭრა-კერვას, მხატვრულ ქარგვას, რომ შემდეგ ოჯახებში პრაქტიკულად გამოიყენონ ეს ცოდნა.

## აგარაკი ქალაქში

ნადიკვარი თელაველთა საყვარელი ადგილია, იგი თითქოს ქალაქის «საკურორტო ზონაა». მას კულტურისა და დასვენების პარკი ეწოდება. რაც არ უნდა ცხელოდეს, ნადიკვარზე ყოველთვის ცივგომბორიდან მონაბერი გრილი ნიავი ტრიალებს. ლამაზი მდებარეობა აქვს ნადიკვარს: ზევიდან ცივგომბორის მთები დაჰყურებენ, პირდაპირ გაწოლილა კავკასიონის მთაგრეხილი, ძირს კი გადაშლილა ალაზნის ულამაზესი ველი. აქ იკრიბებიან სალამოობით თელაველები, აქ ასვენებენ თვალსა და გონებას.

გადასახედზე აშენებულია მრავალი ფანჩატური, სადაც შეგიძლია დაჯდე და უცქირო ბუნების წარმტაც სილამაზეს. პარკის ბოლოში აუშენებიათ საზაფხულო თეატრის პავილიონი, სადაც იმართება კონცერტები, წარმოდგენები. ხშირად აქვე იკრიბება და მეცადინეობს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. იგი უკვე სახელმოხვეჭილი კოლექტივია. ჩვენ მისი სიმღერა მრავალჯერ მოგვისმენია რესპუბლიკის ოლიმპიადებზე, რადიოშიც. ყოველთვის დავმტკბარვართ მის მიერ შესრულებული როგორც ძველი ისე ახალი ხალხური სიმღერებით. ამ კოლექტივს ფირუზ მახათელაშვილი ხელმძღვანელობს. მახათელაშვილი ახალი საკოლმეურნეო სიმღერების საუკეთესო ოსტატია; იგი უმაღლესი მუსიკალური ცოდნითაა, მას მთავრობამ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სახელი მიანიჭა. ეს საპატიო წოდება სწორედ ახალი ხალხური სიმღერების ოსტატობისათვის დაიმსახურა.

## ჯანსაღი ცხოვრებისათვის

თელავის რეკონსტრუქცია დიდი ხანი არ არის, რაც დაიწყო, მაგრამ ახლავე ეტყობა, რომ იგი გადაიქცევა ლამაზ, კეთილმოწყობილ სოციალისტურ ქალაქად.

შენდება საცხოვრებელი ბინები, დაწესებულებათა სახლები; მწვანდება და ახალ სამოსელს იცვამს თელავის ქუჩები. სისუფთავე, წესრიგი, ორგანიზებულობა, იგრძნობა ამ პატარა ქალაქში. აქ ყველაფერი მიმართულია საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისათვის, მისი ცხოვრების უკეთ მოწყობისათვის, მისი ჯანმრთელობის დასაცავად.

დადიხართ თელავის ქუჩებში და კითხულობთ აბრებზე წარწერებს: ქალაქის პოლიკლინიკა, სანიტარულ-ეპიდემიური სადგური, სამშობიარო, ბავშვთა საავადმყოფო და სხვა სახის სამედიცინო დაწესებულებები. 1945 წელთან შედარებით, საექიმო პერსონალის რიცხვი 20%-ით გაიზარდა.

აგერ ბავშვთა ტექნიკური სადგური, სადაც პიონერები თავისუფალ დროს იკრიბებიან და თავიანთ ტექნიკურ ცოდნას აღრმავებენ; ტურისტული ბაზა, რომელიც ყოველთვის მზად არის ემსახუროს ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოსულ მოგზაურს.

საბავშვო სახლი, რომელშიაც იზრდებიან უდედმამო ბავშვები, იზრდებიან ნამდვილი მშობლიური მზრუნველობით, იზრდებიან ნამდვილ საბჭოთა მოქალაქეებად...

კეთილმოწყობილი სასტუმრო, რომელიც გაჰყურებს თელავის ულამაზესს ქუჩას — სასტუმროდანაც კარგად მოჩანს ალაზნის ველი...

დადიხარ ქუჩებში და ყოველ ფეხის ნაბიჯზე გრძნობ ამ ქალაქის ახლებურ ცხოვრებას, გრძნობ ზრდის პერსპექტივას.

თელავს უკვე დამუშავებული აქვს თავისი რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა. ამ გეგმით ქალაქი საგრძნობლად იცვლის ფერს, იგი კიდევ უფრო კეთილმოწყობილი, განახლებული და ლამაზი სოციალისტური ქალაქი გახდება...

ღამდება.

ვერცხლისფრად მოელვარე ლამპიონები ანათებენ თელავის ქუჩებს. ლაპლაპებს ასფალტი ელექტრონის შუქზე. ქუჩაში მოსრიალე ავტომობილების ფარები კიდევ უფრო აელვარებს ასფალტს.

გაჩირაღდნებულია პარტიის რაიკომის შენობა. იქ ახლა ბიუროს სხდომაა. იხილავენ რაიონში საშემოდგომო თესვის მიმდინარეობას. პარტიული განათლების საკითხებს, საამშენებლო გეგმების შესრულებას, ქალაქის კეთილმოწყობის მდგომარეობას....

**ნ. ჩაჩავა**

ფოტო ვ. ჩერკასოვისა



სახვითი ხელოვნების წრეში.

# ტყვარჩელში

კ. გოგიავა

ღამით, როცა მატარებლით ტყვარჩელს უახლოვდებით, გაოცებთ დღესავით განათებული ქალაქი, ლამპიონების ბრიალა თვალები ისე თვალისმომჭრელად ციმციმებენ, გეგონებათ, რაც ცაში ვარსკვლავებია ყველას აქ მოუყრია თავიო. ამ სინათლეში მრავალსართულიანი სახლები თეთრად ქათქათებენ. კვარცხლბეკზე დგას ბრძენი ბელადის მონუმენტი და გასცქერის თავისუფალი შრომით აყვავებულ ქალაქს. ტყვარჩელი ღამითაც არ ისვენებს. განუწყვეტლივ გუგუნებენ საყელავ-სატვირთავი მანქანები, მომხვეტი ტრანსპორტიორები. ღმუიან მძიმე ელექტრობურღები და ეს შეწყობილი ხმაური გაისმის, როგორც ბუნებაზე ადამიანის გამარჯვების ჰიმნი.

ტყვარჩელელ მეშახტეებს გმირული შრომის დიდი ტრადიცია აქვთ. აგერ მესამე წელიწადია, ისინი ქვანახშირის მოპოვების გეგმას გადაჭარბებით ასრულებენ და ტრესტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას სახელოვნად ინარჩუნებს. ტყვარჩელის პარტიულმა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა შახტებში ციკლურ გრაფიკზე გადაიყვანეს მუშაობა და ამით დიდ წარმატებას მიაღწიეს.

სოციალისტურმა შეჯიბრებამ ხელი შეუწყო ხალხთა მეგობრობის და ძმობის განმტკიცებას. ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხის მეშახტენი ერთმანეთის მუშაობას ყურადღებით ეცნობიან, აჩაღებენ მიწერ-მოწერას და შემდეგ შეჯიბრების მუხლებზე თანხმდებიან. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ბერიას სახელობის ტყვარჩელის შახტის მუშაკებმა „დონბასანტრაციტის“ კომბინატის 7-7-ბის შახტის კოლექტივისგან შეჯიბრებაში გამოწვევის წერილი მიიღეს.

— გულდასმით განვიხილეთ დონბასელთა ვალდებულებანი, —გვეუბნება ბერიას სახელობის შახტის უფროსი ვ. რევიშვილი, — მას ჩვენიც წავუმატეთ და აი, ამ ძმობით გამთბარმა შრომამ რა შედეგი მოგვცა: თორმეტი ათასი ტონა ქვანახშირი ამოვიღეთ გეგმის ზევით, შევამცირეთ სათბობის ღირებულება და ხამასი ათასი მანეთი დავზოგეთ! დონბასელებთან ეს სახელოვანი შეჯიბრება გრძელდება!

მოწინავე მეშახტე ნ. ხაჭიპერაძე თავიდანვე გულდასმით მოეკიდა საქმეს, მან შესძლო გვირაბგამყვანი მანქანების უფრო მოხერხებულად გამოყენება, წარმოების ტექნიკაში მრავალი გაუმჯობესების შეტანა. მისი გამოგონება უკვე ფართოდ დაინერგა წარმოებაში. ხაჭიპერაძე დაუკვირდა მძიმე ელექტრობურღის მუშაობას, რომელიც ორ დამხმარე მუშას ძლივს ეჭირა ხელში და ისე მოძრაობდა. „ნუთუ სხვა საშუალებით არ შეიძლება ამ ხელსაწყომ იმუშაოს?!“ დიდ ხანს ფიქრობდა ხაჭიპერაძე და ბოლოს თვითონ ააწყო ელექტრობურღის დასამაგრებელი ჩარხი. ჩარხმა გამოცდა ბრწყინვალედ დაიჭირა, გაიმარჯვა ნოვატორმა. ახლა ამ ჩარხით თითქმის ყველა ბრიგადა მუშაობს. განთავისუფლდა დიდძალი დამხმარე მუშა. თვითონ ხაჭიპერაძე, თავისი ხელსაწყოთი, შტრეკს 50 წუთში ბურღავს. ეს მაშინ, როცა ამ სამუშაოსათვის გეგმით სამი საათია გათვალისწინებული. ხაჭიპერაძე გვირაბგაყვანის მრავალ პროფესიას ფლობს. იგი ო თ ხ ი კ ა ც ი ს სამუშაოს ასრულებს. საბჭოთა ტექნიკა, საბჭოთა ადამიანის ხელში, შრომის სასწაულებს ახდენს. ამას ნათლად ადასტურებს ვასილ ჟიტნიკოვის მუშაობა. როცა იგი გავიცანი, უნებურად მომაგონდა დიდი ფრანგი მწერლის ემილ ზოლას „მაღაროებში მომუშავენი“. ამ რომანის გმირები არაადამიანურად შრომობდნენ, დღეღამე თითქმის ხელით თხრიდნენ ქვანახშირს და გასამრჯელო ლუკმაპურისათვისაც არა ჰყოფნიდათ. ზოლას შემდეგ მაღაროელთა პირობები არ შეცვლილა ბურჟუაზიულ სამყაროში; დღესაც ისევ ისეთ მონურ პირობებში მუშაობენ მშიერ-მწყურვალნი და ამიტომაც ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის მაღაროებში გაფიცვების ტალღა წალეკვით ემუქრება ოქროს მსახურებს.

კაპიტალისტები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მაღაროების მექანიზაციას, მეშახტის შრომის გაადვილებას. თითო-ოროლა კომბაინი, რომლებსაც ინგლისელი ნახშირის მეფეები ამუშავებენ თავიანთ შახტებში, მუშებს შრომას როდი უადვილებენ. საუკეთესო ინგლისური კომბაინის „მეკო-მურის“ ნაყოფიერება ოთხჯერ უფრო დაბალია, ვიდრე „დონბასისა“.

ამჟამად „დონბასი“ ტყვარჩელის შახტებშიც გუგუნებს და მაღალი ხარისხის ქვანახშირს უხვად აწვდის სამშობლოს ქარხნებს.

ვასილ ჟიტნიკოვი დაუცხრომელად მიისწრაფის წინ, ამსხვრევს არსებულ საწარმოო ნორმებს და უსწრებს დროს. ის ამჟამად 1964 წლის დავალების ანგარიშში მუშაობს.

ტყვარჩელელებს მაღლა უჭირავთ სოციალისტური შეჯიბრების ალისფერი დროშა. ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის, ახიბლარის № 4 შახტის მუშაკებმა წინადადებით მიმართეს ტყვარჩელის შახტების ყველა კოლექტივს, ტყიბულისა და ახალციხის მეშახტეებს, რომ საქართველოსათვის დადგენილი ქვანახშირის მოპოვების ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში შეასრულონ. ეს წინადადება საქართველოს ყველა მეშახტემ სიხარულით მიიღო და სოციალისტური შეჯიბრების ძლევამოსილი ცეცხლი კიდევ უფრო აგიზგიზდა.

ტყვარჩელელი მეშახტეები აღწევენ შრომის მაღალნაყოფიერებას, ისინი ენერგიულად იბრძვიან საზოგადოებრივი დოვლათის სიუხვისათვის და ამით აჩქარებენ კომუნიზმის დიად გაზაფხულს.

# გამოქვაბულის წარწერები

ვ. ცისკარიშვილი

მტკვრის ხეობაში, ვარძიის მახლობლად მდებარეობს ფრიალო კლდის გულში გამოკვეთილი და რამდენიმე სართულად განლაგებული ვანის ქვაბების ნანგრევები.

ვანის ქვაბების წარსულიდან წერილობით წყაროებს ბევრი არაფერი შემოუნახავს. არ არის ცნობილი, თუ ვის მიერ და როდის არის დაწყებული და დამთავრებული მისი მშენებლობა-გამოკვეთა. გადმოცემით, XI საუკუნის ბოლოს თმოგვთან ერთად ვანის ქვაბებიც დანგრეულა, მაგრამ მონასტერი მაინც დარჩენილა.

ვანის ქვაბებში სამი ეკლესიაა. ერთი მათგანი მდებარეობს გამოქვაბულთა სულ ზედა სართულზე, ამ პატარა ეკლესიაში, კედლის სხვადასხვა ადგილას, შავი სალებავით გაკეთებულია 30-მდე წარწერა. წარწერების შინაარსიდან ჩანს, რომ ისინი შემონაზნებულ ქალებს ეკუთვნის. მახლობლებს მოწყვეტილი, ძალით თუ ნებით ვანის მიუდგომელ ქვაბებში გამომწყვდეული ახალგაზრდა ქალები მონასტრის კედლებს იხდიდნენ გულის მესაიდუმლედ, თავის სევდასა და გულისწყრომას კედლის წარწერებში აქსოვდნენ.

აი, რამდენიმე მაგალითი მათი დუხჭირი ცხოვრებისა. ერთ-ერთი წარწერა შემკულია კოხტად გამოყვანილი მტრედებისა და ლომების სტილიზებული ნახატებით, რომლებიც ხელსაქმეში გამოყენებულ მოტივებს მოგვაგონებენ და შემსრულებლის გაწაფულობას მოწმობენ. ფიგურები სარტყელივით ევლება წარწერას, რომელიც ვინმე გულქანს ეკუთვნის. გასათხოვარი ქალი მომიყვანა მანუჩარმაო, (ალბათ მესხეთის ათაბაგია), შველას თხოულობს მონასტრიდან თავის დასაღწევად. შემდეგ აღწერს თავის ფიზიკურ და ზნეობრივ ღირსებებს: «ჩემისა ულამაზესი სულიერი დედას მიწაზედ არ იარებოდა და არც სხუა გამოსულა არც თუალად, არც ტანად, არც ზნითა, არც გონებითა, თორემ ჩემნი მნახვნი არ გამამტყუვნებენ»... ამისნი მოწამენი ეს ჩიტები და ეს ლომებიაო.

მეორე წარწერაში ვკითხულობთ: «დამიწერია ივანობის თვესა, მე ბტულაშვილისა ბესიკისა ქალიშვილსა ხვარამზეს ესე წიგნი, ვინც შეგვიბრალებთ მე და ბატონს გოზალასა, ჩემისა და იმის გამყრელობასა... ვაიმე თუ ერთმანეთსა სიკვდილისა და სულთა მოსვლის დროს არ შევხდეთ»· ძალიან ბევრი ვიტირეთ განშორების დროსაო, და ბოლოს შებრალებას თხოულობს წამკითხველისაგან.

ვანის ქვაბებიდან ყველაზე მეტად საყურადღებოა რამდენიმე წარწერა, რომელიც ვინმე ანას ეკუთვნის. ამ წარწერებშიც მონაზვნად შეყენებული ახალგაზრდა გამიჯნურებული ქალის სასოწარკვეთილი გოდება ისმის: «ვერ გავიხარე სმით ვერცა ჭამითა, ვერცა ჩაცმითა, ვერცა ძმითა, ვერცა დითა» და ასე გაუხარელი უნდა მოვკდეო, დასძენს ბოლოს. ამ წარწერაში თუმცა მოკლედ, მაგრამ მაინც დიდის ძალით არის გადმოცემული ტრაღედია, რომლითაც აღსავსე იყო უბრალო ხალხის დუხჭირი ცხოვრება, სადაც არ უნდა ყოფილიყო ის, მონასტერში თუ სხვაგან.

იმავე ანას მიერ შესრულებულია მეორე წარწერა, სადაც მისი გვარიც არის მოხსენებული—რჩეულაშვილი. აქაც შეწუხებული ქალის მოთქმაა: «რა ვქნა, მე შავსა არა მაქვს საქმე კეთილად... შევზარებივარ სიკვდილსა შემაძრწუნებელსა»-ო. და ვინმე დედოფალს თხოვს შველას, რომ იხსნას გაჭირვებისაგან. მიშველე «შენისა ძისა სიყვარულსა»-ო·

მესამე წარწერა, რომელიც იმავე ანას ეკუთვნის, ლირიკული ლექსის სახით უნდა ყოფილიყო დაწერილი (წარწერა გადასულია და ძნელად იკითხება). აქ ანა აღწერს თავისი მიჯნურის გარეგნობას და შემდეგ თავის ძლიერ გრძნობებს მისდამი: «ლომო, განალამც მიყვარხარ, შენებრ ვერვისა სადარო... გეტყვიან გულადო, როსტომისა სადარო, და ტანი აზატსა საროსა, ნარნარად აყვავებულსა; მე გული ხელთა არა მყავს, თუ არა შენა გახლავსა... სადარად. ვაიმე იმედო, ნახვამდისა ჩემო, ანასა დამიწერია, აქ მასზეო გიშენის წალკოტი ხილითა და ხევნარითა, უწყალოდ მოკვლა მიჯნურსა და გულსა და ხევნარითა». დიდი ექსპრესიით დაწერილ ამ ლექსს «ვეფხისტყაოსნის» ძლიერი გავლენა ემჩნევა.

თუ ამ წარწერაში «ვეფხისტყაოსანმა» შთააგონა ანას, ლექსად გამოეთქვა თავისა გულის ნადები, მეოთხე წარწერაში ანამ თავისი გრძნობები «ვეფხისტყაოსნის» სტროფებით აამეტყველა. ეს წარწერა ქანწილით იწყება, შეიცავს ათ სტრიქონს და წარმოადგენს «ვეფხისტყაოსნიდან» ამოღებულ ორ არასრულ სტროფს, საყვარლისადმი მიწერილ ნესტანის წერილიდან. ის კარგად არის შენახული და გარკვევით იკითხება, მკვეთრად ხასიათდება შუასაუკუნეთა დამწერლობის ზოგიერთი პალეოგრაფიული და ენობრივი თავისებურებით და ზეპირსიტყვიერების კვალს ატარებს. ამ თავისებურებისა და სათანადო ისტორიულ მონაცემების მიხედვით აშკარა ხდება, რომ წარწერა XV საუკუნისაა. ტექსტს ახასიათებს ამეტობა დაასოთა დაკლება. მეორე სტროფის მესამე სტრიქონი მთლიანად არის გამოტოვებული; ალბათ იმიტომ, რომ მონაზონ ქალს მონასტერში არ ექნებოდა «ვეფხისტყაოსანი», და მეხსიერებით აღადგენდა შოთას სიტყვებს.

წარწერა ასე იკითხება:

1. ციხეს ვზი ეზო მაღალსა თუ /ა/ ლნ /ი/ ძლ /ი/ ვ შემომცდებ /ი/ /ა/ნ/.
2. გზა გუ /ი/ რაბ /ი/ თა შემოვლენ მცველნი მაზედა დგებ /ი/ ან.
3. მაშიგან ორნი გუშაგნ /ი/ ნობადსა არ დაცდებ /ი/ ან.
4. მათსა შემბ /მ/ ელსა დახოცენ ცეცხლურებ მოედებ /ი/ ან.

1. ჩემო ნუ მოხუ /ა/ ლ ჩემზედან სხუათა მებრძოლთა წესით /ა/.
2. ნუცა მე მომკლ /ა/ ვ ჭირითა ამისგან უარესითა.
3. . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
4. დამთმეთ, დაგთმობ ჭირ /ი/ თა ამისგან უ /ა/ რ /ე/ სითა.

ვანის მონასტრის კედლებზე XV საუკუნეში «ვეფხისტყაოსნის» სტროფების წარწერა მრავალმხრივ არის საყურადღებო. პირველ რიგში კი იმით, რომ ეს ორი სტროფი წარმოადგენს «ვეფხისტყაოსნის» ხელნაწერის უძველეს ნიმუშს, ვინაიდან პოემის XVII საუკუნეზე ადრინდელი ხელნაწერები ჯერჯერობით არ გაგვაჩნია. მეორე მხრივ ის გარემოება, რომ შემონაზნებულმა ქალმა ზეპირად იცის «ვეფხისტყაოსანი» და პოემის სტროფებით გადმოსცემს თავის გულის წუხილს, მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად ხალხური იყო «ვეფხისტყაოსანი», რა ღრმად იყო შეჭრილი ის ადამიანთა ცხოვრებაში.



ვანის ქვაბების წარწერა

# ბადროს ტყორცნის ნინო დუმბაძე



## ეს მოხდა თბილისის „დინამოს“ სტადიონზე

მიმდინარეობს შეჯიბრი თბილისის პირველობაზე მძლეოსნობაში. წრეში დგას ნინო დუმბაძე. სტადიონი გაინაბა, თითქოს მაყურებლები შიშობენ, რომ ოდნავი ხმაურიც კი მიმართულებას შეუცვლის ბადროს. ცოტა ხანიც და წრეში გრიგალივით ტრიალებს სპორტსმენი ქალი. მის გაშლილ, გრძელ მკლავს მეტეორივით სწყდება ბადრო.

— 53 მეტრი და 14 სანტიმეტრი! — აცხადებენ მსაჯები. არცთუ ისე ცუდი დასაწყისია. ნინო სასწრაფოდ იცვამს თბილ, სპორტულ კოსტუმს და მწვრთნელთან, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ზ. დიაჩკოვთან თათბირობს. მწვრთნელიც და მოწაფეც დაწვრილებით არჩევენ და ანალიზს უკეთებენ ტყორცნის უარყოფით მხარეებს, მათ ხომ თითქმის მათემატიკური სიზუსტითა აქვთ გამოანგარიშებული, რამდენ გრადუსს უნდა შეადგენდეს ბადროს ტყორცნის მიმართულება მიწის სიბრტყესთან შედარებით, რა სისწრაფე უნდა განავითაროს სპორტსმენმა წრეში ტრიალის დროს, როგორ უნდა გაეწიოს ანგარიში ქარის სიძლიერეს და მიმართულებას, სპორტსმენის საკუთარ წონას და სხვ.

... ბადრო ისევ ჰაერშია. იგი თითქმის სწორხაზობრივად მიჰქრის და ბოლოს შორს, პატარა დროშებს იქით ეცემა. სტადიონის ტრიბუნებს აყრუებს მრავალათასიან მაყურებელთა წინასწარი შეძახილები. ასეც უნდა ყოფილიყო; არ არის საჭირო მანძილის გაზომვა და შედეგის გამოცხადება, თვალნათლივ ჩანს, რომ ბადრომ რაღაც უჩვეულო მანძილზე «იმოგზაურა», ასე შორს იგი ჯერ არასოდეს ყოფილა. ნეტავ რას უდრის ეს მანძილი? 54 მეტრს? 55? იქნებ 56-საც?

— 57 მეტრი და 4 სანტიმეტრი!! — საზეიმოდ აცხადებენ სტადიონის რეპროდუქტორიდან. მაყურებლები ტაშს უკრავენ ნინო დუმბაძეს.

დამყარებულია ახალი მსოფლიო რეკორდი. ასეთი შედეგისათვის ჯერ სპორტის არც ერთი სახეობის ოსტატს არ მიუღწევია, საერთაშორისო ცხრილების მიხედვით ნინო დუმბაძის ეს უკანასკნელი რეკორდი 1467 ქულით ფასდება. სპრინტერმა რომ იგივე შეფასება მიიღოს, მან 100 მეტრი უნდა გაირბინოს დაახლოებით 9,8 სეკუნდში.

57 მეტრი და 4 სანტიმეტრი! ეს რაღაც გასაოცარი შედეგია, იგი ალბათ დიდხანს, დიდხანს დარჩება გადაულახავი, თუ თვითონ დუმბაძემ არ წაართვა ჩემპიონობა დუმბაძეს. ამ ტყორცნაში ნინომ ჩააქსოვა მთელი თავისი ენერგია, ნებისყოფა, სპორტული დისციპლინა. ამ ტყორცნის წინ ნინო ფიქრობდა საყვარელ სამშობლოზე, მის დიდებაზე. და მართლაც, ბადრო ისეთი ენერგიით და ისე შორს იყო ნასროლი, თითქოს ნინო აპირებდა იმ ზოგიერთი საზღვარგარეთელი სკეპტიკოსების ფეხებთან დაეგდო, რომლებსაც ჯერ კიდევ ეჭვი შეაქვთ საბჭოთა სპორტის მიღწევებში.

ახალმა ამბავმა ელვის სისწრაფით მოირბინა თბილისის ქუჩები. საღამოს კი უკვე მთელმა საბჭოთა კავშირმა იცოდა ახალი მსოფლიო რეკორდის შესახებ.

## პასუხები უცხოელთა შეკითხვებზე

— გვითხარით, რომელი საზღვარგარეთელი მწვრთნელი ავარჯიშებდა საბჭოთა გუნდს? — ასეთი შეკითხვა დაუსვეს ნორვეგიაში საბჭოთა მწვრთნელს.

— საბჭოთა გუნდს ამზადებდა საბჭოთა მწვრთნელები.

— ვინ ასწავლა დუმბაძეს ბადროს ტყორცნა ახალი ევროპული ტექნიკით?

— ეს ტექნიკა მან შეიმუშავა საბჭოთა კავშირში, მას აქეთ დიდი ხანია.

ასეთივე გულუბრყვილო და მოულოდნელი შეკითხვები მისცეს თვით ნინო დუმბაძესაც, როდესაც ის მოხსენებით გამოვიდა ქალაქ ოსლოს ახალგაზრდობის წინაშე.

— ნუთუ თქვენთან სპორტსმენ ქალებს ბავშვები ჰყავთ?

— რა არის საბავშვო ბაღი? ბავშვებს უკან უბრუნებენ დედებს?

— მართლა ისე შორს ტყორცნით ბადროს, როგორც ამას გაზეთები წერენ?

— რამდენს იწონის თქვენი ბადრო? შეიძლება ვნახოთ რა აქვს შიგნით?

ასეთი ორაზროვანი და უნდო კითხვები იმალებოდა საზღვარგარეთელთა ზრდილობიანი ღიმილის საფარქვეშ. მათ ჯერ კიდევ არ სჯეროდათ საბჭოთა სპორტის სიძლიერე, მათ ვერ წარმოედგინათ, რომ სპორტსმენი ქალი შეიძლებოდა ყოფილიყო ოჯახის დედა და ამავე დროს მსოფლიო რეკორდსმენიც. ისინი ჯერ კიდევ ბურჟუაზიული, რეაქციული პროპაგანდის ბურანში იყვნენ გახვეულნი. მაგრამ საბჭოთა სპორტსმენებმა ტრიუმფით შემოიარეს ევროპის სტადიონები, საზღვარგარეთელ განთქმულ სპორტსმენთა გვარები თანდათან იშლებოდა მსოფლიო რეკორდსმენთა სიიდან და მათ ადგილს საბჭოთა სპორტსმენები იკავებდნენ. მალე სულ სხვა ხასიათის შეკითხვები წამოეჭრათ იქაური სპორტული წრეების წარმომადგენლებს.

— თუ შეიძლება გვითხარით, რითი ხსნით თქვენი სპორტსმენების ასეთ მიღწევებს? ალბათ, წლევანდელ პირველობისათვის განსაკუთრებულად ემზადებოდით.

— არა, გავდიოდით ჩვეულებრივ წვრთნას, ჩვენთან, უბრალოდ, ასეთი სისტემაა; იზრდება სამშობლო, ვიზრდებით ჩვენც.

— კი მაგრამ, თქვენ ხომ არ მალავთ თქვენი მიღწევების საიდუმლოებებს? გთხოვთ, გაგვანდოთ იგი.

ეს მოხდა ბრიუსელში, ევროპის პირველობის დროს. ნინო დუმბაძის გარშემო შემოკრებილი ფინელი, იტალიელი და შვეციელი სპორტსმენები ყურადღებად გადაიქცნენ, ბოლოს და ბოლოს მოისმენენ ყველაზე საინტერესო ამბავს:

— საიდუმლოება მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენს მიღწევებს სიყვარულით და მზრუნველობით ადევნებს თვალყურს მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი.

ნინოს არ ეყო სიტყვები, რომ ისეთივე სიყვარულით ელაპარაკა უცხო ენაზე, როგორც თავის მშობლიურ ენაზე ილაპარაკებდა საბჭოთა ხალხის სიდიადის შესახებ.

ყოველი შეჯიბრების წინ, ყოველი პასუხსაგები ასპარეზობის დროს ნინო დუმბაძე ფიქრობდა საბჭოთა ხალხზე, მოსკოვზე, დიდ ბელადზე. და ეს ფიქრები მით უფრო ძლიერი და შთამაგონებელი ხდებოდა, რაც უფრო შორს იყო იგი მშობლიური ქვეყნიდან. ასეთსავე ფიქრებს გაეტაცნა ნინო შეჯიბრების დაწყების წინ, ნორვეგიის პატარა ქალაქ საარპსბორგში. საღამოს მოსკოვის რადიო უკანასკნელ ცნობებში გადასცემდა შეჯიბრების შედეგებს. როგორ უნდოდა ნინოს, რომ ახალი გამარჯვებით გაეხარებინა საბჭოთა ხალხი... და მართლაც პირველივე ტყორცნით გადააჭარბა გიზელა მაუერმაიერის მსოფლიო რეკორდს.

— 48 მეტრი და 60 სანტიმეტრი — გამოაცხადა მსაჯმა — მომილოცავს ახალი მსოფლიო რეკორდი!.

— ეს მსოფლიო რეკორდი არ გახლავთ, საბჭოთა კავშირის რეკორდი 49 მეტრი და 88 სანტიმეტრია, მე განვაგრძობ შეჯიბრებას — ამაყად განაცხადა ნინომ...

## ესტონეთი



საზეიმოდ გაიხსნა ტრადიციული ასპარეზობა საქართველოსა და ესტონეთის ფიზკულტურელებს შორის.

პროგრამაში იყო მძლეოსნობა, ცურვა, წყალბურთი, კრივი. სამ დღეს გასტანა სპორტულმა ჭიდილმა.

მძლეოსნობაში საქართველოს სპორტსმენებმა დაამყარეს 2 ახალი რესპუბლიკური რეკორდი. მაღალ სპორტულ შედეგებს მიაღწიეს ე. გოკიელმა, ლ. სანაძემ, გ. ლექავამ, ხ. ლიპმა, მ. ველხვებელმა და სხვ.

წარმატებით აღინიშნა საქართველოს მოცურავეთა და წყალბურთელთა გამოსვლები. წყლის სპორტის უმრავლეს სახეობაში პირველობა მოიპოვეს საქართველოს გუნდის წარმომადგენლებმა, ამასთანავე მათ დაამყარეს 16 ახალი რესპუბლიკური რეკორდი.

## საქართველო

ტრადიციული ასპარეზობა დამთავრდა 28 ოქტომბერს, ჩვენი რესპუბლიკის მოკრივეთა გამარჯვებით.

პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის ოთხივე სახეობაში პირველი ადგილი და საერთო გამარჯვება მოიპოვა საქართველოს გუნდმა.

ფოტოზე: ასპარეზობის ალმის აღმართვა.



მოსკოვში, «სტალინეცის» სტადიონზე, საზღვარგარეთული გაზეთის ერთ-ერთმა კორესპონდენტმა ჰკითხა ნინო დუმბაძეს, გაქვთ თუ არა იმედი ბადრო 50 მეტრს გადააცილოთო, და საერთოდ, ქალებისათვის რა მანძილს თვლით საზღვრადო. ნინომ უპასუხა, რომ იგი აპირებს 53 მეტრამდე ტყორცნას, და დაუმატა: საბჭოთა ქვეყანაში მიღწევათა საზღვრებზე ლაპარაკი არ არის მიღებული.

მალე ნინომ ნახა უცხოური გაზეთი, რომელშიც აღწერილი იყო ეს საუბარი. სათაურის მაგივრად სტატიას რიცხვი 53 და დიდი კითხვის ნიშანი ჰქონდა დასმული. სამი წლის შემდეგ, როდესაც ნინომ სინამდვილედ აქცია თავისი სიტყვა და ბადრო 53,25 მეტრზე ტყორცნა, ბუდაპეშტში იგი კვლავ შეხვდა ნაცნობ კორესპონდენტს.

— ახლა რას იტყვით თქვენი გეგმების შესახებ? — ჰკითხა მან.

— 56 მეტრი! — უპასუხა ნინომ.

— მე აუცილებლად დავწერ ამის შესახებ, აუცილებლად, მხოლოდ კითხვის ნიშანს აღარ დავუსვამ. თქვენ მე დამიმტკიცეთ, რომ საბჭოთა ადამიანები ასრულებენ თავიანთ გეგმებს, — წარმოთქვა კორესპონდენტმა და მოწიწებით მოსცილდა სახელოვან საბჭოთა სპორტსმენს.

## ბადროს ვტყორცნი 60 მეტრამდე!

სპორტული ვარჯიშობანი ნინო დუმბაძემ ოდესის 35-ე სკოლაში დაიწყო. იგი ხარბად დაეწაფა სპორტის თითქმის ყველა სახეობას. სხვა სკოლებთან შეჯიბრებების დროს ნინო მონაწილეობდა ცურვაში, ნიჩბოსნობაში, ფრენბურთში, კალათბურთში. ასეთმა მრავალმხრივმა ფიზიკურმა მომზადებამ თავისი შედეგი გამოიღო; მძლეოსნობის ცალკეულ სახეობებში ნინომ მაღალ შედეგებს მიაღწია.

საბჭოთა კავშირის მაშინდელი რეკორდი ბადროს ტყორცნაში 40,88 მეტრს უდრიდა. ეს მანძილი რაღაც მიუღწევლად ეჩვენებოდა ნინოს, მით უმეტეს, რომ მისი პირველი შედეგი ბადროს ტყორცნაში მხოლოდ 25 მეტრს აღწევდა. უჩვეულო ნებისყოფამ, თავისთავზე ხანგრძლივმა, სისტემატურმა მუშაობამ, საკუთარი, დამოუკიდებელი ტექნიკისა და თეორიის გამომუშავებამ თავისი შედეგი გამოიღო; 1937 წელს ნინომ გადააჭარბა საბჭოთა კავშირის რეკორდს, ორი წლის შემდეგ კი — მსოფლიო რეკორდსაც.

ასე დაიწყო სახელოვანი სპორტსმენის შეუჩერებელი წინსვლა. მალე მან 50 მეტრამდე ტყორცნა ბადრო, მერე 51, 52, 53-მდე.

ამ შედეგებში რაღაც კინოგრამის მსგავსი თანმიმდევრობა იყო, რომელშიც არც ერთი დისტანცია არ არის გამოტოვებული. ნინო დუმბაძე ყოველ სანტიმეტრისათვის იბრძოდა, ყოველ წელს აუმჯობესებდა რეკორდს, ახლა კი 57,04 მეტრზე ტყორცნა ბადრო.

ჩვენს შეკითხვაზე, მომავლისათვის რამდენ მეტრამდე აპირებს თავისი უკანასკნელი შედეგის გაზრდას, ნინომ გვიპასუხა: — იმედი მაქვს, რომ ბადროს ვტყორცნი 60 მეტრამდე! — და თან ისეთნაირად მოჭუტა თვალები, თითქოს ეს-ეს არის ტყორცნა ბადრო და ახლა ელოდება, როგორ დავარდება იგი 60 მეტრის საზღვარზე.

ე. მარიამიძე



კარიკატურა უნგრული გაზეთიდან



ფოტო-კორესპონდენტებს ცალკე გაუმართავთ „ასპარეზობა“, ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან შორიდან გადაღების ტექნიკაში.

ფოტო ო. თერქიასი

## სიკვდილის კილომეტრები

ფოტოაპარატის ობიექტივმა მოასწრო ორ თვალზე მოხრიალე მანქანის გადაღება. ვიწრო მოსახვევში, რათა მოწინააღმდეგისათვის გაესწრო, მძღოლმა მანქანა გვერდზე გადაზნიქა, ცალი გვერდი თითქმის მიწას გააკრა და წყვილი თვალი ჰაერში დატრიალდა...

მცირედი დაბნეულობა გზაზე გადმოხრილი ჩრდილის შერხევისას და...

ის, რის გადაღებაც ფოტორეპორტიორმა ვერ მოასწრო, ჩაინიშნა მხატვარმა: — მანქანა ხევში გადაიჩეხა. ბალახზე სისხლის წვეთებია....

ხოლო რადიოკომენტატორი სენსაციის მოყვარულ მაყურებლებს გულცივად აცნობებს:

„მე-22 კილომეტრზე შეჯიბრება დასტოვა შვეიცარიელმა ქრისტიან კუცმა“. ადვილი მისახვედრია, რომ ეს უბრალოდ შეჯიბრების დატოვება კი არ იყო, არამედ სიცოცხლის დატოვებაც.

როდესაც ავტომობილები „იტალიის დიდი თასის“ მოსაპოვებლად რიგ-რიგობით „სტოვებდნენ შეჯიბრებას“... შვეიცარული გაზეთის „სპორტ-ინფორმაციონის“ რედაქცია, მაღალსიჩქარეებზე სიკდილის შესახებ, თავის მკითხველთა შეკითხვებზე ლაკონიურად პასუხობდა:

— კემპერიმ გაიმარჯვა?

— არა, კემპერი მოკვდა.

— ბორცაკინიმ მოიგო კროსი?

— არა, ბორცაკინიც დაიღუპა.

— სხვა, ახალი, რა ამბავია?

— რალფი დაიწვა...

უფრო ტრაგიკული აღმოჩნდა სიკვდილის „24 საათიანი კროსი“ ქალაქ მანსში. უკვე მეხუთე წრის მოსახვევში სახელგანთქმული ავტომრბოლი ლარივიერი გადაიჩეხა. მას მავთულხლართებმა თავი წააცალეს. ამის გამო რადიოკორესპონდენტი ცინიკურად შენიშნავდა: „ლარივიერის თავი ას მეტრზე გაგორდა. ცოლი ქმარს ამაოდ ელოდება გზაზე საგანგებოდ მოწყობილ სადგომის მისალებ პუნქტში: ლარივიერს ჭამის თავი სადღა ექნება...“

ბურჟუაზიული პრესა ცდილობს შეაჩვიოს ახალგაზრდობა სისხლსა და სიკვდილს. რა ვუყოთ, რომ 308 ავტომრბოლიდან ფინიშამდე მხოლოდ 5 მიაღწევს. განა ცოტანი არიან უმუშევრები, რომელთაც სურვილი ექნებათ სიკვდილის სპორტში მონაწილეობისა?!

მაინც ვინ გაიმარჯვა ამ კროსში? — დაინტერესდება მკითხველი. „ამაზე კარგად უპასუხებს ამერიკული ფირმის „დენლოპის“ რეკლამა: „გაიმარჯვეს“ დენლოპის „რეზინის სალტეებმა“, რომელთა გახალება მარშალიზებულ ევროპის ბაზრებზე გაუგონარ მოგებას იძლევა.

მართლაც, რაში აინტერესებთ ულტრატელ მაგნატებს, თუ ვინ მივა ფინიშთან პირველი? — ეს გაცვეთილი სპორტული შეკითხვაა... მთავარია დოლარები. დოლარები — რომელსაც თანაბრად იძლევა, როგორც მათ მიერ დამზადებული „დენლოპის“ რეზინის სალტეები, ისე ბრჭყვიალა რეკლამები.

# ქისტაურელები

**გ. ბახტაძე**

მეაბრეშუმეობაში შესანიშნავ მიღწევას წარმოადგენს „ქისტაურული“ მეთოდის სახელწოდებით ცნობილი სტახანოვური მოძრაობა, რომლის ინიციატორია ახმეტის რაიონის სოფ. ქისტაურის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეობის მერგოლური ოსანა აივაზიშვილი.

ამ ნოვატორმა მეაბრეშუმემ ძირფესვიანად შესცვალა აბრეშუმის ჭიის გამოკვების არსებული წესი. მან დაამუშავა და მეაბრეშუმეთა შორის დანერგა აგროზოოტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელმაც მეაბრეშუმეთა შორის ჯერ კიდევ 1938 წლიდან ჰპოვა ფართო გასაქანი.

თავის გამოსვლაში საქართველოს კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე ამხანაგი ბერია აღნიშნავდა ქისტაურელთა მოძრაობის დიდ მნიშვნელობას და მათი მუშაობის მეთოდის დანერგვის საჭიროებას მეაბრეშუმეობაში.

ამჟამად საქართველოში ქისტაურული მეთოდით 24 ათასზე მეტი მეაბრეშუმე მუშაობს და დიდი გადაჭარბებით აბარებს სახელმწიფოს მაღალხარისხოვან აბრეშუმის პარკს. ამ მეთოდის გამოყენებით მრავალი მეაბრეშუმე ერთი კოლოფი თესლიდან 80-ზე მეტ კილოგრამ პარკს გვაძლევს. მიმდინარე წლის გაზაფხულზე იმ რგოლმა, რომელსაც ოსანა აივაზიშვილი ხელმძღვანელობდა, გამოკვება 4,8 კოლოფი აბრეშუმის ჭია და თვითეულ კოლოფზე სახელმწიფოს საშუალოდ 122 კილოგრამი პარკი ჩააბარა. რგოლმა აბრეშუმის ჭიის გამოკვება 22 დღეში დაამთავრა, რამაც კოლმეურნეობას რამდენიმე ასეული კაცდღე დაუზოგა.

ქისტაურული მეთოდით ჭიის კვება უფრო მოკლე ვადაში სწარმოებს და ნაცვლად ჩვეულებრივი 35-40 დღისა, მხოლოდ 21-23 დღეს გრძელდება. დროის ეს ეკონომია საშუალებას იძლევა სხვა სამუშაოებზე გამოიყენონ ათასობით მეაბრეშუმე კოლმეურნე.

ქისტაურული მეთოდის ძირითად არსს წარმოადგენს ჯერთა სიხშირე და ახალი ფოთლით ჭიის უწყვეტი სადღეღამისო გამოკვება ისეთ შენობებში, სადაც მუდამ იცავენ სათანადო ტემპერატურას, სისუფთავეს, განიავებას და ჰაერის ნორმალურ ტენიანობას. საერთოდ, ჭიის გამოსაკვებ შენობებში დაცული უნდა იქნას ტემპერატურის ასეთი ნორმები: პირველ ასაკში 24-26°, უფროს ასაკში—23-24° და პარკის ახვევის პერიოდში 21-22°. ამასთან, უფრო ოპტიმალურად მიაჩნიათ შეფარდებითი ტენიანობა ჭიის პირველ ასაკში 65-75%, ხოლო ბოლო ასაკში და პარკის ახვევის პერიოდში 60-70%.

ქისტაურელები მუდამ ანიავებენ ჭიის გამოსაკვებ შენობებს. ჰაერის ძლიერი გამოშრობის თავიდან აცილების მიზნით, რაც უარყოფითად მოქმედებს ჭიის კანისცვლის პროცესზე, ჭიის გამოსაკვებ შენობებში ჰკიდებენ სველ ტილოებს, რომელთა ბოლოები წყალშია ჩაშვებული, ტენიანობის შესანარჩუნებლად.

ხშირი კვებისა და მაღალი ტემპერატურის შედეგად ჭიები განსაკუთრებით სწრაფად იზრდებიან, რის გამო მათი საკვები ფართობის გადიდება ყოველდღიურად სწარმოებს, ხოლო ჭიის კვება მოკლე ვადებში მთავრდება.

ჭიებს საკვები ეძლევათ იმ რაოდენობით და ჯერების ისეთი შუალედებით, რომ ახალი ფოთოლი მუდამ გამოულეველი ჰქონდეთ. ჯერთა სიხშირისა და სადღეღამისო გამოკვების შედეგად მომჭირნეობით იხარჯება თუთის ფოთოლი, და მხოლოდ მისი მცირე ნაწილი იქცევა ნაძირად. თვითეულ კილოგრამ პარკზე 7-8 კილოგრამი თუთის ფოთოლი იზოგება.

ქისტაურელები დიდ მნიშვნელობას აძლევენ ფოთლის ხარისხს და მის სიახლეს. ისინი ფოთოლს საღამოთი აგროვებენ ტოტებიანად, როდესაც მასში მთელი დღის განმავლობაში დაგროვილია მეტი საკვები ნივთიერება. მეორე საღამომდე, ვიდრე ახალ საკვებს შეაგროვებდნენ, ტოტებს გრილ ადგილას ინახავენ ფოთლის სიახლის შენარჩუნების მიზნით.

საქმისადმი სიყვარული, ყველა სამუშაო ოპერაციის ზუსტად შესრულება, საკვები ბაზის შერჩევა და მომზადება ქისტაურული მეთოდით მომუშავე მეაბრეშუმეთა წარმატების საწინდარია.

ოსანა აივაზიშვილის დაუღალავი და ენერგიული შრომა ღირსეულად დააფასა ჩვენმა მთავრობამ. იგი დაჯილდოებულია ლენინის და საპატიო ნიშნის ორდენებით.

აბრეშუმის ჭიის გამოკვების ჩქაროსნული მეთოდის დანერგვისათვის ოსანა აივაზიშვილი ოქროს დიდი მედლით დააჯილდოეს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, მასვე მიენიჭა უმაღლესი ჯილდო — სტალინური პრემია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნატურალისტის ბლოკნოტიდან

### თბილისის ზღვა

ერთი წელი შესრულდა, რაც თბილისის მლაშე ტბების ქვაბნარში იორი მოვიდა და თბილისის ზღვის წარმოქმნა დაიწყო.

ზღვის სადგომი ქვაბნარი, რომელიც საკმაოდ გრძლადაა გაჭიმული, ოდესღაც მტკვრის კალაპოტს შეადგენდა. ამ ქვაბნარში მდინარე ივრის მოსვლამდე სამი მლაშე ტბა მდებარეობდა. ზევით, ღრმანის მხარეზე—ილგუნიანისა, ნაძალადევის პირდაპირ—კუკიისა და ავლაბრის პირდაპირ—ავლაბრის ტბა.

მოსალოდნელი იყო, რომ ივრის წყალი, მლაშე ტბების გავლენით, გემოს შეიცვლიდა. პირველ ხანებში მართლაც ასე მოხდა, მაგრამ როცა ეს ტბები წაიშალა და წყალი დიდი რაოდენობით დაგროვდა, იორმა თავისი თვისებები დაიბრუნა.

ტბების მოსპობასთან ერთად ძირითადად ამოწყდა ტბების მცენარეები და ცხოველები; სამაგიეროდ თბილისის ზღვაში, ახალ პირობებთან შეფარდებით, გაჩნდა წყალმცენარეებისა და ცხოველების ახალი შემადგენლობა.

აქ უკვე შეხვდებით წყალმცენარეების შემდეგ წარმომადგენლებს: ვოლვოქსს, სპიროგირას, კლადოფორას და სხვ. უხერხემლო ცხოველებიდან, ე. წ. პლანქტონიდან, გვხვდება: ულვაშებიანი კიბოსნაირები, ნიჩაბფეხიანი კიბოსნაირები, ციბრუტელები და სხვ.

აქვე ვნახულობთ ფსკერის ცხოველებს (ე. წ. ბენტოსიდან) დღიურებს, ნიჟარიან კიბოებს, ორფრთიანების მატლებს, მცირეჯაგრიან ჭიებს, მრგვალ ჭიებს, ნემსიყლაპიას მატლებს, წყლის ხოჭოებს, წურბელებს და სხვ.

ზემოთ ჩამოთვლილი ფლორისა და ფაუნის შემადგენლობა ჯერ კიდევ მცირეა. რაც დრო გავა, ის თანდათან გამდიდრდება. მაგრამ ეს შემადგენლობაც ნათლად გვიჩვენებს, რომ თბილისის ზღვაში თევზის გამრავლებისათვის იქმნება საუკეთესო საკვები ბაზა.

ამჟამად თბილისის ზღვაში გაჩნდა მცირე რაოდენობის თევზის ლიფსიტები, რომლებიც იორს შემოჰყვნენ.

თბილისის ზღვაში, მოკლე დროში, მომრავლდება მდინარე იორში გავრცელებული საუკეთესო სახეობის თევზები: კალმახი, ხრამული, წვერა, მურწა და სხვ. გარდა ამისა, ხელოვნურად იქნება გამრავლებული ისეთი სარეწაო მნიშვნელობის თევზები, რომლებიც ივრის ზემო დინებაში ან საერთოდ იორში არა გვხვდება. ეს კიდევ უფრო გაზრდის აღნიშნულ წყალსაცავის თევზის სარეწაო მნიშვნელობას.

საქთევზმშენი უკვე შეუდგა მუშაობას. ახლო მომავალში თბილისის ზღვაში გადმოიყვანენ ხრამულს — მდინარე ხრამიდან, კალმახსა და რიპუსს (რიაპუშკა) ფარავნის და საღამოს ტბებიდან.

საქართველოს მდინარეებისა და ტბების თევზებისათვის თბილისის ზღვა იქნება ახალი ბინა და სამყოფელი.

**რ. ელანიძე**

# არმიელები „ა“ ჯგუფში გადავიდნენ

... თბილისელებმა თამაში ენერგიული შეტევით დაიწყეს, სტუმრების კარი საფრთხის ქვეშ მოექცა.

მეექვსე წუთზე სიხარულიძე ხსნის ანგარიშს. პირველი ბურთის გატანა ენერგიას მატებს არმიელებს, შეტევები ძლიერდება.

შეხვედრა თბილისის ოფიცერთა სახლის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდსა და გორკის „ტორპედოს“ შორის მთავრდება თბილისელთა ბრწყინვალე გამარჯვებით, ანგარიშით 5 : 0.

ეს იყო „ბ“ ჯგუფში ჩატარებული უკანასკნელი მატჩი.

ამ გამარჯვებით თბილისელები მესამე ადგილზე გავიდნენ და „ა“ ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვეს.

1953 წელს საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშებაში თბილისის ორი გუნდი მიიღებს მონაწილეობას — „დინამო“-ს და ოფიცერთა სახლის ფეხბურთელები.



ფოტოზე: გუნდის მწვრთნელი ნ. ჩხატარაშვილი ოფიცერთა სახლის ფეხბურთელებს ულოცავს „ა“ ჯგუფში გადასვლას.

# 150 წლის იუბილარი

ედ. ყიფიანი



თბილისის ვაჟთა I საშუალო სკოლის ფასადი XIX საუკუნეში.

სკოლაში ზარის ხმა გაისმა. მოწაფეებმა აუდიტორიებს მიაშურეს. დერეფნებში გამეფებული ჟრიამული ახლა საკლასო ოთახებში გადავიდა. მაგრამ აი, სამასწავლებლოდან პედაგოგები გამოვიდნენ. მათემატიკის მასწავლებელი ხის გრძელი ფარგლით ხელში ნელ-ნელა გაჰყვა დერეფანს, ქართული ენის მასწავლებელმა სათვალეები მოძებნა, ილია ჭავჭავაძის რომელიღაც ტომს დაავლო ხელი და მეორე სართულის კიბეებს მიაშურა. მათ მიჰყვნენ დანარჩენი პედაგოგებიც. მიიხურა საკლასო ოთახების კარები. აუდიტორიებშიც შეწყდა ჟრიამული. სტალინის სახელობის თბილისის ვაჟთა I საშუალო სკოლაში მორიგი გაკვეთილი დაიწყო...

როდესაც დერეფანში სიჩუმე ჩამოვარდა, სკოლის დამლაგებელმა ქალმა სადარბაზო შემოსასვლელის კიბეებზე ამომავალი ხნიერი კაცი და ქალი შენიშნა.«ალბათ მოწაფეთა მშობლებია, დირექტორთან თუ აპირებენ შესვლას,» — გაიფიქრა დამლაგებელმა ქალმა. მაგრამ უცნობმა სტუმრებმა მარჯვნივ გაუხვიეს და სკოლის გრძელ დერეფანს გაჰყვნენ. ისინი ხშირად ჩერდებოდნენ, მით უმეტეს, კაცი, რომელიც ხან ჭერს შეხედავდა, ხან კედლებს, ხან კი ფრთხილად გააპარებდა მზერას საკლასო ოთახებში. ამ დროს მას ისეთი ბავშვური ღიმილი ეფინებოდა სახეზე, როგორც საკლასო ოთახებში მყოფ მოწაფეებს შეეძლოთ გაღიმება... — აი, ამ პატარა ოთახში იყო «კარცერი», — ხმადაბლა წარმოთქვა კაცმა, — ერთი-ორჯერ მეც მიგემნია მასში ჯდომა; აქ კი, — მან ხის მაღალი კარები შეაღო და ოთახში შეიხედა, — გიმნაზიის ეკლესია იყო, ახლა, როგორც ჩანს, ბიბლიოთეკად გადაუკეთებიათ... სადაც წინათ «მამაო ჩვენოს» გვაზეპირებინებდნენ, ახლა იქ მოწაფეები კითხულობენ წიგნებს რელიგიის აბსურდობის შესახებ...

ბიბლიოთეკის გამგემ გვიან შენიშნა უცნობი სტუმრები.

— მობრძანდით, მაგრამ წიგნებს მხოლოდ მოწაფეებს ვაძლევთ. — წარმოთქვა მან.

— მეც ამ სკოლის მოწაფე ვარ! — გაეღიმა სტუმარს.

— მოწაფე? — ვერც ბიბლიოთეკის გამგემ შეიკავა ღიმილი.

— დიახ, ყოფილი მოწაფე, 60 წლის წინათ დავამთავრე ეს სკოლა. ახლა თბილისში მოვხვდი და, როგორც ხედავთ, გამოვიყენე ეს შემთხვევა, ჩვენი სკოლა მოვინახულე. გთხოვთ, გვიცნობდეთ—ბაქოელი პროფესორი კაჟლიაევი, ეს ჩემი მეუღლეა...

5073

პროფესორმა კაჟლიაევმა დიდხანს ილაპარაკა სკოლის წარსულზე, ახლანდელი მოწაფეების ბედნიერ აწმყოსა და მომავალზე... როდესაც გაიგო, თბილისის ვაჟთა I საშუალო სკოლა 150 წლის იუბილესათვის ემზადებოდა, ბიბლიოთეკის გამგეს სთხოვა, შემატყობინეთ, უსათუოდ ჩამოვალო, და თავისი მისამართი დასტოვა.



ივანე ჯავახიშვილი—გიმნაზისტი (1889 წ.).

პროფესორი კაჟლიაევის სტუმრობა თბილისის ვაჟთა I საშუალო სკოლაში ერთეული შემთხვევა არ არის. ყოფილი მოწაფეები, ამჟამად ექიმები და ინჟინრები, აგრონომები და ასტრონომები ხშირად იხსენებენ თავიანთ საყვარელ სკოლას, მაგრამ ახლა, საიუბილეო დღეებში, ისინი, თუ შეიძლება ითქვას, ორგანიზებულად ესტუმრებიან სკოლას. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფ. დ. ჲოსელიანი თავის შვილიშვილებთან ერთად მოვა საიუბილეო საღამოზე — ამ სკოლის აღზრდილია ბაბუა, ეს სკოლა ზრდის შვილიშვილებსაც; მოგონებით გამოვლენ — პროფ. ნ. ყიფშიძე, რომელმაც 1907 წელს, დიდი ილიას დასაფლავების დღეს, გიმნაზიის სახელით ცოცხალი ყვავილების გვირგვინი აიტანა მთაწმინდაზე; ინჟინერი მელიქ-ნუბაროვი, რომელიც 1905 წლის მღელვარე დღეებში, მეფის იუნკრების მიერ თბილისის გიმნაზისტების დარბევის დროს, მძიმედ დაიჭრა...

როდესაც თბილისის ვაჟთა I საშუალო სკოლაში შეხვალთ და მის დერეფნებსა და საკლასო ოთახებს დაივლით, არ შეიძლება აუღელვებლად უყუროთ კედლებსა თუ იატაკს, არ შეიძლება მოკრძალების გარეშე შეახოთ ხელი კიბის მოაჯირსა თუ კარის სახელურს. ერთ დროს ხომ ამ კედლებს შორის ჩვენი ილია სწავლობდა, ერთ დროს ხომ ამ კიბეებზე პატარა ტატო ბარათაშვილი დარბოდა...

მიუხედავად ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკისა, თბილისის I გიმნაზიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართველი ინტელიგენციის აღზრდის საქმეში. აქ სწავლობდნენ და იზრდებოდნენ შემდეგში ისეთი ცნობილი ადამიანები, როგორიც იყვნენ: გრ. ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, გიორგი ერისთავი, ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, კოტე მარჯანიშვილი, ვასო აბაშიძე, სუმბათაშვილი-იუჟინი, დიმ. ყიფიანი, ალ. ყაზბეგი, გ. ნიკოლაძე, ნემიროვიჩ-დანჩენკო და სხვ.

ძნელი დასადგენია სკოლის 150 წლის ბიოგრაფია. მეფის ხელისუფლების დროს გულგრილი «ბიოგრაფები» ჰყავდა I გიმნაზიას. ის არქივიც კი, რომელიც ამ გიმნაზიას გააჩნდა, მთლიანად დაიკარგა. ვინ იცის, რამდენი საინტერესო ფაქტი წაიყოლა თან არქივის ფურცლებმა, რამდენ მნიშვნელოვან და საყურადღებო ამბავს გვაცნობებდა გიმნაზიის დოკუმენტები გამოჩენილი ქართველი ადამიანების შესახებ.

მრავალ ბრძანებათა, სხვადასხვა ოქმთა, ცირკულართა და ინსტრუქციათა შორის იქნებ იყო სკოლის ზედამხედველის მოხსენებითი ბარათებიც, ვთქვათ, იმის შესახებ, რომ «გიმნაზიის პანსიონერი ნიკოლოზ ბარათაშვილი საღვთო რჯულის გაკვეთილზე რაღაც ლექსსა თხზავდა», ანდა იმის შესახებ, რომ «გიმნაზისტი ივანე ჯავახიშვილი გაკვეთილების მსვლელობის დროს შეეკამათა ისტორიის მასწავლებელს: სწორად არ აშუქებთ საკითხსაო», ანდა იმის შესახებ, რომ «წუხელ გიმნაზისტი კოტე მარჯანიშვილი დრამატიული თეატრის წარმოდგენაზე ნახეს — «გალიორკაზე» იჯდა და სასწავლებლის ფორმა არ ეცვა» და სხვ.

ჩვენი წარმოსახვა სკოლის წარსულის შესაძლებელი ფაქტების ასეთი გააზრებით, რასაკვირველია ღარიბია და იქნებ — მცდარიც, მაგრამ გიმნაზისტების მსგავს «ცუღლუტობაზე» ხშირად სწერდნენ ძველ სასწავლებელთა ზედამხედველები. არ შეიძლება თბილისის ვაჟთა I საშუალო სკოლაში ყოფნისას, რომელიმე საკლასო ოთახიდან მოგესმათ მოწაფის მიერ ზეპირად წარმოთქმული «ბაზალეთის ტბის» ან «მერანის» სტრიქონები და გულში მაინც არ გაიფიქროთ: «ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ ოთახში სწავლობდა ილია ჭავჭავაძე? იქნებ ამ ოთახში ჩაესახა ნ. ბარათაშვილს «მერანის» იდეა? ანდა, შეხვდებით თბილისის I სკოლის მოწაფეებს, საბჭოთა ეპოქაში დაბადებულ ბედნიერ ახალგაზრდა თაობას და არ შეიძლება სკოლის წარსულთან ერთად არ წარმოიდგინოთ ათასჯერ უფრო ბრწყინვალე მომავალი, არ შეიძლება არ გაიფიქროთ, რომ სკოლის 200 წლის იუბილეზე მოიწვევენ დღევანდელ I, II, III კლასების მოწაფეებს, რომლებიც იმ დროისათვის ქვეყნის სახელოვანი ადამიანები და კომუნიზმის ხანის ინტელიგენტები იქნებიან.

დღეს კი ეს მოწაფეები, უფროს კლასელებთან ერთად, სკოლის 150 წლის იუბილეს ზეიმობენ. საუკუნენახევრის სკოლა თითქოს ვერც კი გრძნობს წლების სიმძიმეს. მისი აუდიტორიები, თუ დერეფნები მუდამ ჯანმაგარი, ენერგიული ახალგაზრდებითაა სავსე. სკოლის კედლები მუდამ ახალგაზრდების ცოცხალი საუბრისა და ცოცხალი აზრის მსმენელია. ამ მოწაფეთა ასაკი არასოდეს არ სცილდება 18 წელს და თითქოს ეს უძველესი სკოლაც მარად ჭაბუკი რჩება.

თბილისის ვაჟთა I საშ. სკოლის 150 წლის ისტორიიდან ყველაზე სასახელო და სახელოვანი ის სამი ათეული წელია, რომელიც საბჭოთა საქართველოს არსებობის წლებს ემთხვევა.

თბილისის ვაჟთა I საშ. სკოლა თავისებური მუზეუმია. თავისებური იმიტომ, რომ თუ ჩვეულებრივ მუზეუმში შემოაქვთ და ინახავენ ძვირფას ნივთებს, ისტორიულ განძებს და სხვ. ეს სკოლა პირიქით: თავის ძვირფას განძს — საბჭოთა სკოლის პრინციპებზე აღზრდილ ადამიანებს — აძლევს ქვეყანას, სამშობლოს, ხალხს.



პროფესორი დავით ჲოსელიანი და მისი შვილიშვილები — დავითი და გოგი. პროფესორი სამსახურისკენ მიიჩქარის, შვილიშვილები კი — სკოლისკენ. მათ ერთი გზა აქვთ. გაივლის დრო, დაიზრდებიან პატარები და მერე თვითონვე გააცილებენ სკოლისკენ თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს.

ფოტო ო. თურქიასი



# ცხენოსანთა ასპარეზობა

წკნელების, ფიტულის, რგოლის, კონუსის და სხვა სამიზნეებისაგან შექმნილ „ხეივანში“ გრიგალივით მიჭრის ცხენი. უზანგებზე შემართული მხედარი წინ, ცხენის კისრისკენაა გადახრილი, მარცხენა ხელი თითქმის არც კი გრძნობს სადავეს. მიწაზე ცვივა ხმლისგან შუაზე გადასხეპილი წკნელები, „განგმირული“ ფიტული, ჰაერში ელავს ატყორცნილი რგოლი. 200 მეტრის სიგრძის „ხეივანი“ მხედარმა უნდა გაიაროს 25 წამში და, ამასთან ერთად, დააზიანოს ყველა სამიზნე. დაგვიანებას და სამიზნეზე ხმლის აცილებას საჯარიმო ქულები მოაქვს.

ჩინებულად გადიან ზოლს ცხაკაიელი ლ. ლაშქარავა, წალენჯიხელი შ. კვარაცხელია და სხვანი. მაგრამ, აი სტარტი აიღო ზ. ანშბამ, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეურმა, ტანხმელმა, მარდმა მხედარმა. იგი შეუცდომლად სხეპს წკნელებს, ჩხვლეტს სამიზნეებს. საბჭოთა კავშირის 1952 წლის ჩემპიონმა ჩეხვაში, ზ. ანშბამ, 17 წამში უჯარიმოდ გაიარა ზოლი და რესპუბლიკის ჩემპიონობაც მოიპოვა.

წლევანდელმა რესპუბლიკურმა პირველობამ ცხენოსნობაში დიდი ინტერესი გამოიწვია. მიუხედავად არაჭელსაყრელი ამინდისა, ქუთაისის იპოდრომზე ტევა არ იყო. მაყურებლები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს საქართველოს X ჩემპიონატის მონაწილეებს.

შეჯიბრების ალამი აღმართეს ამ ასპარეზობაში ხუთგზის გამარჯვებულმა ზუგდიდელმა ცხენოსნებმა; ალმის დაშვების უფლება კი ახალმა ჩემპიონმა — ცხაკაიას რაიონის გუნდმა მოიპოვა.

8 დღის განმავლობაში იპოდრომზე დაძაბული, მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობდა ისინდში, ცხენბურთში, მარულაში, დოღში, ყაბახში, მრავალჭიდში.

ქართულ ეროვნულ თამაშში—ყაბახში (ექვსმეტრიან ანძაზე მდგარ მიზანში ისრის მოხვედრება) გამარჯვებული გამოვიდა ცხაკაიელი ცხენოსანი ვ. საბახტარაშვილი. მრავალჭიდში ვაჟთა შორის საუკეთესო აღმოჩნდა ნ. ოვჩინიკოვი (საბჭოთა არმია), ქალთა შორის—თინათინ კვაჭანტირაძე (ფოთი).

მაყურებლები შეუნელებელი ინტერესით ადევნებდნენ თვალს შეჯიბრებას ისინდსა და ცხენბურთში. ისინდის ფინალში გუდაუთის გუნდმა ანგარიშით 7 : 6 დაამარცხა ცხაკაიას ცხენოსნები, ცხენბურთში კი გუდაუთელებმა დამარცხება განიცადეს ზუგდიდის გუნდთან—1 : 2 (პირველი თამაში დამთავრდა ფრედ 3 : 3).

დაძაბულ ვითარებაში ჩატარდა შეჯიბრება წინაღობათა გადალახვაში. რთულ კლასში გაიმარჯვა ჭ. კვარაცხელიამ (წალენჯიხა), უმაღლეს კლასში — მ. ძიძიგურმა („სპარტაკი“, თბილისი).

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია დოღმა და მარულამ. 2 კილომეტრიან დოღში ფინიშთან პირველი მივიდა ზუგდიდელი ნორჩი მხედარი ვ. დარასელია. მანვე გაიმარჯვა დოღში 4 კილომეტრზე. 3 კილომეტრი ყველაზე ადრე გაიარა გუდაუთელმა ქ. ჩუაზიმ.

როგორც ყოველთვის, ახლაც ყურადღების ცენტრში იყო მარულა. 8 კილომეტრიან მარულაში გამარჯვება მოიპოვა სპარტაკელმა ვ. ხითაროვმა, 10 კილომეტრზე ოსტატური ფინიშით პირველი მივიდა ზუგდიდელი ო. ხაინდრავა (ცნობილი ქართველი ჟოკეის ა. ხაინდრავას შვილი).

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ ცხაკაიას ცხენოსნები, მეორეზე — ზუგდიდისა, ხოლო მესამეზე — თბილისის „სპარტაკის“ გუნდი.

**ფოტოზე: საბჭოთა კავშირის 1952 წლის ჩემპიონი ჩეხვაში ზ. ანშბა.**

**ბ. ძორძია**

**ოთარ ჭილაძე**

## სიცოცხლის ქანდაკება

გარეთ ცივი ქარი ძარცვავდა ბაღებს,
ფერმკრთალი ღრუბლები მიქროდნენ ქარდაქარ,
მყუდრო ოთახში იჯდა მოქანდაკე,
ფიქრობდა:
— სიცოცხლე გამოექანდაკა.
ფიქრობდა...
იფიქრა ბევრი და დაიწყო,
სიცოცხლის სიყვარულით,
სიცოცხლის ეშხით...
და ბევრი თეთრი ღამე გაათია
სატეხითა და ჩაქუჩით ხელში.
და როცა საქმეს მორჩა დაღლილი,
როცა გამოკვეთა სიცოცხლე ქვიდან,
დაღლილ თვალებში ჩაუდგა ღიმი:
— ოთახში დიდი მზეკაცი იდგა.

## ბავშვები

დღე მიიწურა.
მზემ ბევრი იარა.
ქუჩას მოჰყვებიან ბავშვები ლხენით,
ისინი მღერიან...
ისინი კი არა
— სიცოცხლე მღერის იმათი ენით.
მოდიან და თან ნათელი მოსდევთ
და მე ვუღიმი მომავალს, მზიანს,
გვანან იმ ყლორტებს,
პატარა ყლორტებს,
რომლებიც მერე დიდ მუხებს ცვლიან.

## როცა მზე მოდის

როცა ქალაქში მზე მოდის ადრე
და ნაზ სხივებით დარაბებს აღებს,
გაღიმებული გადავხსნი ფარდებს,
მივესალმები აქოჩრილ ბაღებს.
ღიმილით ვიტყვი:
— რა კარგი დღეა...
ვგრძნობ,
ვხედავ,
მესმის სიცოცხლე მშვიდი,
ხე რომ შრიალებს
— ეს სიცოცხლეა,
ეს სიცოცხლეა
— ბავშვი რომ მიდის.
ვხედავ — ქუჩებში ნათელი დგება,
ვხედავ — გოგონას ნაზ ყვავილებით...
და ვგრძობ, მის მკერდთან თუ როგორ თბება
ის ყვავილები, თავდახრილები.

დილაა...
მზის სხივს სხივები მისდევს,
მღერის ჭადარი ჭადრების გვერდით,
მეც ჩემი ლექსით სიცოცხლეს ვიწყებ,
მისი პატარა ნაწილი ერთი.

# თეატრი და მაყურებელი

## დათა თუთაშვილის შეცდომა

**შ. ბუაჩიძე**

ქ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა, ამას" წინათ, მაყურებელს უჩვენა სერგო კლდიაშვილის ახალი პიესა „დაბრუნება“. ნაწარმოების თემაა საბჭოთა ოჯახი. მასში დასმულია მნიშვნელოვანი საკითხი წარსულის გადანაშთებთან ბრძოლის შესახებ ადამიანთა შეგნებაში. პიესა ამხილებს ოჯახისადმი, ქალისადმი ზერელე დამოკიდებულების დაუშვებლობას.

საბჭოთა ოჯახის სიწმინდისა და სიმტკიცის საკითხი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ეს თემა შეიძლება, და უნდა გახდეს კიდეც, თეატრისა და დრამატურგიის ყურადღების საგანი. ცალკე ადამიანების შეცდომების ჩვენებით დრამატურგიამ და თეატრმა უნდა ასწავლონ მაყურებელს, რომ საბჭოთა ადამიანების პირადი ინტერესები განუყრელად დაკავშირებულია სახელმწიფოს ინტერესებთან, რომ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ პირადი ცხოვრება საბჭოთა საზოგადოებრივი მორალისაგან იზოლირებულად.

სერგო კლდიაშვილის პიესის მოკლე შინაარსი ასეთია:

ცნობილი არქიტექტორის თომა თულაშვილის ვაჟი ახალგაზრდა ნიჭიერი მოქანდაკეა. ქალაქის საბჭო მას დაავალებს ბელადის მონუმენტის შექმნას, რომელიც ქალაქის ახალ მოედანზე უნდა დაიდგას.

დათას ჰყავს ახალგაზრდა ცოლი მანანა და ორი წლის ბავშვი. მანანას თავდავიწყებით უყვარს თავისი ოჯახი. თავის დროზე მან ინსტიტუტიც კი დასტოვა, რათა ხელი შეეწყო დათასთვის, შეექმნა მისთვის პირობები ნორმალური მეცადინეობისა და წინსვლისათვის. მანანამ თავისი პირადი ცხოვრება მსხვერპლად მიუტანა დათას. ამიერიდან იგი დათას სიცოცხლით ცოცხლობს—მას ახარებს მისი წარმატება, აღელვებს მისი ოდნავი უგუნებობაც კი.

მერე რითი უპასუხა დათამ ამ თავდადებულ სიყვარულს?

იმით, რომ მალე შეიძულა მანანა. დათა უკმაყოფილოა, რომ მანანა ოთახში ჩაიკეტა, ბავშვისა და სამზარეულოს გარდა ვეღარაფერს ხედავს, ჩამორჩა და „ობივატელად“ გადაიქცა. მანანას გულწრფელი სიყვარული, მისი მღელვარება, ლოდინი, ქმრის მიმართ მუდმივი მზრუნველობა დათასთვის შემბორკავ გარემოებად გადაიქცა. მან ოჯახის გარეთ დაიწყო სულიერი მეგობრის ძებნა. იპოვნა კიდეც. ეს არის ახალგაზრდა მხატვარი ნინო, რომელიც დათასთან ერთად მუშაობს სახელოსნოში. მათ ერთმანეთი შეუყვარდებათ და დათა გადაწყვეტს ოჯახის მიტოვებას. შვილის საქციელით აღშფოთებული თომა ურჩევს დათას, თვითონვე თქვას უარი მასზე დაკისრებულ სამუშაოს შესრულებაზე, რადგან იგი ასეთი ხელებით და ასეთი გულით ვერ გამოძერწავს საყვარელი, ყველაზე უსპეტაკესი ადამიანის სახეს.

დათამ მიატოვა ოჯახი და სახელოსნოში გადავიდა, ნინოსთან ერთად საცხოვრებლად. ერთ დღეს სახელოსნოში მივიდა მანანა და შეხვდა ნინოს. ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ. მათი საუბრიდან ნინოსთვის აშკარა გახდა, რომ დათა უმართებულოდ მოქცევია მანანას, რომ ბავშვის გამო მანანა და დათა ყოველთვის საჭირო იქნებიან ერთმანეთისათვის, რომ ამ მოვალეობისაგან ისინი ვერასოდეს ვერ განთავისუფლდებიან. ნინო დარწმუნდა იმაშიაც, რომ თუ დათამ მიატოვა ოჯახი, სადაც იგი ასეთი სიყვარულით იყო გარემოცული, ხომ შეიძლება ხვალ ასევე აიცრუოს გული მასზე, ნინოზე, და იგი გადაწყვეტს ჩამოშორდეს დათას...

გავიდა სამი წელი. ოჯახისაგან მოწყვეტილი, მეგობრის მიერ მიტოვებული დათა ამ ხნის განმავლობაში დიდ სულიერ ტანჯვას განიცდიდა. იგი მუშაობდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ დიდ მშენებლობაზე და ხშირად იგონებდა მანანას, თავის პატარა ბიჭიკოს, მშობლებს, რომელთაც ესოდენი ტანჯვა მიაყენა თავისი უღირსი მოქმედებით. ბოლოს დათა თულაშვილი რწმუნდება, რომ დიდი შეცდომა დაუშვა, და გადაწყვეტს დაუბრუნდეს თავის ოჯახს და პატიება თხოვოს მანანას. დათა სწორედ იმ დღეს ჩამოდის თავის მშობლიურ ქალაქში, როცა მთელი მოსახლეობა ბელადის მონუმენტის გახსნას დღესასწაულობს, მანანაც ზეიმზეა. მას უსარგებლოდ არ გაუცდენია ეს წლები—დაუბრუნდა ინსტიტუტს და ბეჯითი მეცადინეობით დაამთავრა იგი. დღეს მანანა თბილისში მიემგზავრება ასპირანტურაში გამოცდების ჩასაბარებლად. მანანამ მონახა თავისი გზა ცხოვრებაში. დათა თხოვს მანანას პატიებას. მანანა გადასდებს თბილისში წასვლას...

ოჯახი და ოჯახური ურთიერთობა ჩვენში საზოგადოებრივი საქმეა. არასწორი და ღრმად შემცდარი აზრია, თითქოს პირადი ცხოვრება საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმე არ იყოს. კონფლიქტი, რომელმაც წარმოშვა განხეთქილება დათას და მანანას შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა. პიესა „დაბრუნება“ გვეუბნება, რომ ქალი, მათ შორის მეოჯახე ქალიც, უნდა ცდილობდეს მონახოს თავისი დამოუკიდებელი ადგილი ცხოვრებაში, რომ მეშჩანურ ნაჭუჭში მოქცევას შეუძლია მხოლოდ ზიანი მიაყენოს ცოლქმრის ურთიერთობას, ოჯახის განმტკიცების საქმეს. პიესაში დათას, ამ საკუთარ თავზე შეყვარებულ ადამიანს, უპირისპირდებიან მაღალი მორალური თვისების მქონე საბჭოთა ადამიანები. ნაწარმოებში ნათლად ჩანს პარტიისა და მთავრობის ზრუნვა ჩვენი ადამიანების კეთილდღეობისათვის.

ს. კლდიაშვილის პიესა „დაბრუნება“ საინტერესო ნაწარმოებია. იგი დაწერილია სუფთა ლიტერატურული ენით. მნიშვნელოვანი თემა გაშლილია მხატვრულად მკაფიო სახეებში. მასალა, რომელსაც პიესა ეყრდნობა, აღებულია სინამდვილიდან. ცხოვრების მოვლენათა კანონზომიერება მოხერხებულად არის მოქცეული მთლიან დრამატურგიულ სიუჟეტში.

ქ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, რომელსაც თანამედროვეობის ამსახველ პიესებზე მუშაობის საკმაო გამოცდილება გააჩნია, სიყვარულით მიუდგა ს. კლდიაშვილის ნაწარმოების სცენურ ხორცშესხმას. ახალგაზრდა რეჟისორ — გ. ლორთქიფანიძეს კარგად გაუხსნია პიესის არსი. სახეები გახსნილია სწორად, დამაჯერებლად. ბუნებრივობა და სიმართლე შენარჩუნებულია ყველგან. მონახულია სწორი ინტონაციები ნაწარმოების გმირთა სულიერი მოძრაობის გადმოსაცემად. სპექტაკლი კარგად არის გაფორმებული მხატვარ ელენე ახვლედიანის მიერ.

მოხდენილად არიან შერჩეული შემსრულებლები. უტყუარი ნიჭით და ოსტატობით გამოირჩევა ს. ზაქარიაძე დათას როლში. ყველაფერი ზუსტად არის მოფიქრებული ამ მკაფიო სცენურ პორტრეტში: ხმის ინტონაციაც, ჟესტიც, მოძრაობაც. მოხერხებულად იყენებს რა სცენური გამომსახველობის საშუალებებს, მსახიობი დამაჯერებლად გადმოგვცემს დათას ბუნებას. კარგად არის ხაზგასმული აქტიორის მიერ, რომ დათას მხოლოდ თავისი თავი უყვარს, რომ მას მხოლოდ პატარა კაცუნას პატივმოყვარეობა ამოძრავებს.

მანანას უაღრესად კეთილშობილი, მიმზიდველი სახე შექმნა მედეა ჯაფარიძემ. მისი თამაში არის სადა, უბრალო ბუნებრივი და ამ მხატვრულ უბრალოებაშია მაღალი ხელოვნება. ნინო ბერიშვილ ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო სახეა იმ სახეთა შორის, რომლებიც შეუქმნია მარინე თბილელს ქ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე.

სადი რეალისტური ალღო და ცხოვრების დაკვირვება გამოსჭვივის მსახიობების ტ. საყვარელიძის (თომა), მ. დავითაშვილის (მარიამი), თ. თეთრაძის (თინა), ი. ტრიპოლსკის (ოთარი), ქ. დაუშვილის (დიმიტრი), გ. ტატიშვილის (ლადო), ფ. სონღულაშვილის (გაბრიელი) თამაშში.

ქ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა შექმნა მართალი, ამაღელვებელი სპექტაკლი, რომელშიაც იდეურობა და ოსტატობა მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული.



ფოტოზე: მედეა ჯაფარიძე (მანანა) და სერგო ზაქარიაძე (დათა).

ფოტო ო. თურქიასი

## ბეთლემი

თაობიდან თაობაში გადადიოდა ლეგენდა ბეთლემის გამოქვაბულის შესახებ, მაგრამ მისი ადგილმდებარეობა არავინ იცოდა. ერთ-ერთი მთავარი წყარო ამ გამოქვაბულის შესახებ არის გამოჩენილი ქართველი გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა:

„მყინვარისა კლდესა შინა არიან ქვაბნი გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა კლდესა, და უწოდებენ ბ ე თ ლ ე მ ს. გარნა საჭიროდ ასავალი არს, რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა გარდმოკიდებული ქვაბიდამ, და მით აღვლენ“.

არსებობს რამდენიმე ლეგენდა ბეთლემის გამოქვაბულის შესახებ. ხევში გავრცელებული ლეგენდის ერთ-ერთი ვარიანტი საფუძვლად დაედო ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილს“. როგორც ცნობილია ილიას ხევ-მთიულეთში არაერთგზის უმოგზაურია. 1864-1874 წლებში ილია დუშეთის მაზრაში მსახურობდა. იქ მას შეუგროვებია ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალები.

თავდაპირველად ილიამ თავის პოემას უწოდა „მეუდაბნოე“ (ხალხში გაგონილი ლეგენდა), შემდეგ სათაური შეუცვალა და უწოდა „ბეთლემი“ (ხალხში გაგონილი ლეგენდა), საბოლოოდ კი პოემას დაარქვა „განდეგილი“ (ლეგენდა), — როგორც ვხედავთ, სამივე ვარიანტს მიწერილი აქვს „ლეგენდა“.

მართალია თვითონ ილიას არ უნახავს ბეთლემის გამოქვაბული, მაგრამ „განდეგილის“ პირველ თავში შესანიშნავი სიზუსტით არის აღწერილი ბეთლემის გამოქვაბულის ხედი.

„... ფრიალოსაებრ ჩამოთლილი აქვს  
ამ წმინდანთ სადგურს ყინულის ზღუდე.  
და ზედ კარია გამოკვეთილი —  
ვით კლდის ნაპრალზედ არწივის ბუდე.  
ზღუდის ძირამდე რკინის რამ ჯაჭვი  
ზედა ჰკიდია თურმე იმ კარსა,  
და თუ არ ჯაჭვით, სხვაგვრივ ვერაგზით  
ვერ ძალუძს ასვლა ვერარა კაცსა“.

უკანასკნელ წლებამდე ბეთლემის გამოქვაბულის ადგილმდებარეობის შესახებ არაფერი იყო ცნობილი. 1947 წლის ნოემბერში, მონადირემ და ცნობილმა ალპინისტმა, ლევან სუჯაშვილმა პირველმა შეამჩნია მყინვარწვერის ციცაბო ფერდობზე, მეტეოროლოგიური სადგურიდან მარცხნივ, ჩამოშვებული ჯაჭვი. ამ ცნობის სისწორის დადგენის მიზნით შეიქმნა ბეთლემის გამოქვაბულის საგამომკვლევო ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ალექსანდრა ჯაფარიძე, ყაზბეგის მუზეუმის დირექტორი სტეფანე ალიბეგაშვილი (ხელმძღვანელები), ყაზბეგის მუზეუმის თანამშრომლები — არჩილ კობაიძე და ალპინისტი-გეოლოგი გრიგოლ შადური, მეცნიერ-მუშაკი შალვა წერეთელი, ყაზბეგის მეტეოროლოგიური სადგურის თანამშრომლები — ვალერიან სუჯაშვილი და ირაკლი იმნაძე, და ბეთლემის გამოქვაბულის აღმომჩენი ალპინისტი ლევან სუჯაშვილი.

1948 წლის 7 იანვარს საგამომკვლევო ჯგუფმა მიაღწია ბეთლემის გამოქვაბულს.

* * *

მყინვარწვერის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მეტეოროლოგიური სადგურის მარცხნივ, 4100-4200 მეტრის სიმაღლეზე, ციცაბო კლდეშია გამოკვეთილი ბეთლემის გამოქვაბული. მანძილი კლდის ძირიდან გამოქვაბულის კარამდე თითქმის 300 მეტრია, ხოლო კარიდან კლდის წვერამდე — ასამდე მეტრი. ამრიგად, „ფრიალოსაებრ ჩა-

მოთლილი“ კლდის სიმაღლე ოთხას მეტრამდე აღწევს.

ხელოვნურად გამოკვეთილი გამოქვაბულის კედლები მრგვალია, კუთხეები არა აქვს. ხის მთლიანი ფიცრის კარის სიმაღლე 1,30 მეტრს უდრის, სიგანე — 60 სანტ., სისქე — 65 სანტიმეტრს. კარის ორივე მხარე გამაგრებულია ბოძებით, რომელთა დიამეტრი 15 სანტიმეტრია. კარის ზემოთ მოთავსებულია სარკმელი, საიდანაც გამოქვაბულში დღის სინათლე შედის. ხის კარზე მთლიანად გადაკრულია ორი მილიმეტრის სისქის რკინის ფურცელი. მარცხენა ბოძის ძირში, შიგნით, დამაგრებულია ერთმეტრიანი ჯაჭვი, რომლითაც ალბათ შიგნიდან იკეტებოდა კარი. შუა კარზე მიმაგრებულია 5,5 მეტრი სიგრძის მსხვილი ჯაჭვი რკინისა, რომელსაც ბოლოში გამობმული აქვს ნალისებური რგოლი — ხელის მოსაკიდებლად და ასასვლელად. ეს არის სწორედ ის ჯაჭვი, რომელიც აღწერილი აქვს ვახუშტის თავის გეოგრაფიაში და ილიას — „განდეგილში“.

გამოქვაბულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მოთავსებულია 66 სანტიმეტრის სიმაღლის ანდეზიტის თლილი ქვისაგან ნაშენი ტრაპეზი, გარედან შელესილი და შეთეთრებული.

გამოქვაბულში აღმოჩენილი ნივთებიდან ყურადღებას იპყრობს სამფეხა ბრინჯაოს შანდალი, ისრის პირი ხატარით, დაჟანგული თითბრის ევგანი, საზიარებელი კოვზი (რკინისა), ხის ჭურჭლის სათლელი იარაღი — ხვეწი, ნემსკავები და სხვ. განსაკუთრებით საინტერესოა ჭდეული ხატი (დროშა) რელიეფური გამოსახულებებითა და ასომთავრული წარწერებით, რომელიც სპეციალისტების აზრით მე-13 საუკუნეზე უფრო ადრინდელ პერიოდს მიეკუთვნება. საინტერესოა აგრეთვე ხის პატარა პენალი, 10 ცალი ძველებური ვერცხლის ფული (ორი აბაზიანი ერეკლეს დროისა, ერთი ქართული ფული მე-15 საუკუნის მეორე ნახევრისა და 7 ირანული, მე-17-18 საუკუნეებისა).

ყურადღებას იპყრობს ბამბის ქსოვილის ფარდა, რომელიც მე-19 საუკუნეს მიეკუთვნება. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ბეთლემის გამოქვაბულში ადამიანი უკანასკნელად მე-19 საუკუნეშიც ყოფილა.

ილია გარკვევით აღნიშნავს:

„უწინდელ დროში ღვთისა მოსავთა გამოუქვაბავსთ მუნ მონასტერი“.

მართლაც, მთელი გამოქვაბულის ხედი და არსებული ნივთები იმის დამადასტურებელია, რომ გამოქვაბულს მხოლოდ სამლოცველოდ იყენებდნენ და ადამიანის ცხოვრების ნიშნები თითქმის არ სჩანს.

**გ. ზარდალიშვილი**

გარეკანის პირველ გვერდზე: «დიადი ოქტომბრის ზეიმი თბილისში»

ნახატი კ. მახარაძისა;

მეოთხე გვერდზე: «თბილისი, რუსთაველის პროსპექტი»

ნახატი ა. ბანძელაძისა

# ნარევი

## ჩინური ნამუშევარი ქაღალდისგან

ქაღალდისგან ნამუშევარი — ჩინური ხალხური შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე საგულისხმო და უძველესი ფორმაა.

ჩინელი გლეხი, სრულიად მარტივი იარაღებით — მაკრატლითა და ბასრად ალესილი დანით ფერადი ქაღალდებისაგან ჭრის ადამიანთა, ცხოველთა და სხვადასხვა საგნების სილუეტებს.

ამ საქმიანობით განსაკუთრებით გატაცებული არიან მხატვრულ ქარგვაში დიდად დახელოვნებული ჩინელი ქალები. თავიანთი სამუშაოების თემატიკას ისინი ძველთაგანვე სოფლის ყოფა-ცხოვრებიდან იღებდნენ. აი, მაგალითად,



ურემში შებმული ცხენი, მამალი... ყველა ეს ნამუშევარი შესრულებულია გასაოცარი ოსტატობითა და გემოვნებით, გამსჭვალულია ჯანსაღი რეალიზმით.

ჩინურ სოფელში ასეთი ფერადი ქაღალდისგან გამოჭრილი სილუეტები, ბაბთი და ნაყში ყოველი სახლის ფანჯარაში მოჩანს — ეს ოდითგან დამკვიდრებული ჩვეულებაა. სალამოობით, შიგნიდან განათებული სურათები განსაკუთრებით ეფექტურ სანახაობას ჰქმნიან: თითქოს მთელი სოფელი პატარ-პატარა ფერადი ფარნებით იყოს მორთული.

## პულკოვოს მერიდიანზე



პულკოვო! დიდი ხანი არაა, რაც აქ ქვების გროვები ეყარა და ახორხლილი ტყო დანაზშირებული ხეები. ფაშისტებმა დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს მსოფლიოში სახელგანთქმული სამეცნიერო დაწესებულება — პულკოვოს ობსერვატორია.

საბჭოთა მთავრობამ პულკოვოს აღსადგენად ას მილიონზე მეტი მანეთი გამოჰყო. პულკოვო ახლა ხელმეორედ იბადება. სამეცნიერო პატარა ქალაქი ფართოდ გადაშლილა თავისი ახალი პავილიონებით, კოშკებით, ვარსკვლავთა „ბინებით“, ასტრონომთა საცხოვრებელი სახლებითა და სასტუმროთი.

ბევრი შენობა ჯერ ისევ ხარაჩოებშია, მაგრამ აქ უკვე წარმოებს ვარსკვლავებზე მეცნიერული დაკვირვებანი, სწავლობენ დედამიწის პოლუსების მოძრაობას, მზის ზედაპირს...

## მეტეორიტი „მანიჩი“

1951 წლის 20 ოქტომბერს, 15 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით, სტავროპოლის მხარის (ჩრდ. კავკასია) არზგირის რაიონში მდებარე დაბა იკი-ბურულის სამხრეთ ნაწილში, კოლმეურნეობა „სელმაშის“ მწყემსის სახლიდან დასავლეთით, 20 მეტრზე, ჩამოვარდა ქვის მეტეორიტი.

დაბა იკი-ბურულისა და მეზობელი დაბების მცხოვრებთა თქმით, ამ დროს ჰაერში ისმოდა თვითმფრინავის გუგუნის მაგვარი ხმაური, შემდეგ გაისმა ისეთი ხმა, თითქოს ჯერ ტყვიამფრქვევიდან და მერე ქვემეხიდან გაისროლესო. „რაღაც ჩამოვარდა და დედამიწიდან მტვერი ავარდაო“, — დაასკვნეს მნახველებმა. კოლმეურნეებს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, თითქოს თვითმფრინავმა რაღაც ჩამოაგდო მათ დაბაში. წავიდნენ საძებრად და პატარა ორმოში იპოვეს მეტეორიტი, რომელიც ჯერ ისევ თბილი იყო.

მეტეორიტი ჩამოვარდა მანიჩის ტრამალების მიდამოებში, აღმოსავლეთ მანიჩის კალაპოტის მახლობლად, და ამასთან დაკავშირებით მეტეორიტს „მანიჩი“ ეწოდა.

მეტეორიტი „მანიჩი“ წააგავს ვიწრო სამწახნაგოვან სწორკუთხიან პირამიდას, წაკვეცილი ფუძით, იწონის 1860 გრამს, აქტიურად მოქმედობს მაგნიტურ ისარზე.

მეტეორიტი „მანიჩი“ შევიდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მეტეორიტთა კოლექციაში.



ეს ჩრდილოეთ კავკასიაში ჩამოვარდნილი მე-3 მეტეორიტია, ხოლო მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით — 124-ე.

(ჟურნ. „პრიროდა“, № 8, 1952)

„მეგობრები“




«...მათრახით უჭრელებს თავსა და ზურგს, თან ეუბნება «დავმეგობრდეთო...»

მხატვარი გ. ლომიძე

რედაქტორის მაგიერ — ვ. ჭელიძე

ნომერი გააფორმა ალ. ბანძელაძემ

სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. სააკაშვილი, ი. ციციშვილი, უ. ჯაფარიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ., № 91. ტელ. 3-95-38

გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/XII-52 წ. გამომც. № 239 ნაბეჭდი ფურც. 3½ ტირაჟი — 15.000 შეკვეთის № 758 უე 06145

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке)

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.



პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებულ დრამწრეში გაერთიანებული არიან ორთქლმავალ-ვაგონ შემკეთებელი ქარხნის მოწინავე მუშები. ფოტოზე: ვ. ვასაძე, ა. ლაფაჩი, ვ. ხითარიშვილი და დრამწრის ხელმძღვანელი ა. მაჩაბელი „ჩაძირული ქვების“ რეპეტიციის დროს.

ფოტო ო. თურქიასი.

16

ფასი 3 მან.

6.52/4

ეროვნული ბიბლიოთეკა

